კომუნიკაცია, ენა და მეტყველება

საბაზისო გზამკვლევი

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის

კომუნიკაცია, ენა და მეტყველება
საბაზისო გზამკვლევი
სკოლამდელი ასაკის დაწესებულებებისათვის

თბილისი 2015

კომუნიკაცია, ენა და მეტყველება საბაზისო გზამკვლევი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის

2015წ

გზამკვლევი მომზადებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტში

გზამკვლევის შედგენაზე მუშაობდა: **ნინო ცინცაძე**
რედაქტორი: **ეკა კეკელია**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლელა მაჭარაშვილი

რიდერი დაკაბადონდა და დაიბეჭდა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

2. მეტყველების, ენისა და კომუნიკაციის საჭიროების მქონე ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილება 5

6. ექსპრესიული ენის/მეტყველების სტიმულირება 27

7. ენისა და მეტყველების განმავითარებელი აქტივობები 31

8. ბავშვის ენობრივი განვითრების შეფასება 36

9. დანართები 45

1. კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტის (ლოგოპედის) როლი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში

- კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევის ან შეფერხების დროული იდენტიფიცირება

ბაგა-ბაღში მომუშავე კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტს (ლოგოპედს) უნდა შეეძლოს ბავშვებში არსებული შესაძლო ენობრივი პრობლემების დროული იდენტიფიცირება. კომუნიკაციის, ენის ან მეტყველების შეფერხებისა ან დარღვევის დროული (ადრეული) იდენტიფიცირება და სწორი ჩარევა ეფექტური შედეგის მომტანია და მნიშვნელოვნ შანსს იძლევა მომავალი აკადემიური მოსწრების სირთულეების პრევენციისათვის.

- ბავშვის ენისა და მეტყველების დარღვევის ან შეფერხების დადასტურება სპეციალური ინსტრუმენტის (შეფასების კითხვარის) გამოყენებით

ბაგა-ბაღში მომუშავე კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტის (ლოგოპედის) შეხედულებები შესაძლო ენობრივი დარღვევის ან შეფერხების შესახებ, უნდა ეყრდნობოდეს ბავშვის ენობრივი განვითარების საფეხურების კარგ ცოდნას და გამყარებული უნდა იყოს დაკვირვებების ჩანაწერებითა და შესაბამისი, ენობრივი განვითარების შესაფასებელი ინსტრუმენტის (ინსტრუმენტების) გამოყენებით. (ნიმუშისათვის იხილეთ თავი, 8).

- მშობლების კონსულტირება და შესაბამის სპეციალისტთან გადამისამართება

კომუნიკაციის, ენის და მეტყველების შესაძლო დარღვევის გამოვლენის ან ეჭვის შემთხვევაში, ბაგა-ბაღში მომუშავე კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი) მშობელს უწევს რეკომენდაციას, რომ ბავშვი სიღმისეული და მრავალმხრივი შეფასებისა და შესაძლო დიაგნოზირებისათვის შესაბამის სპეციალისტთან მიიყვანოს (ნეიროფსიქოლოგი, განვითარების ფსიქოლოგი).

- ბავშვებთან ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში მუშაობა

ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, ბაგა-ბაღში მომუშავე კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი) გეგმავს ენისა და მეტყველების შეფერხების მქონე ბავშვებთან ინდივიდუალურ ან მცირე ჯგუფურ აქტივობებს, რომლის დროსაც, თამაშისა და აქტიური ინტერაქციის გზით, ბავშვების ენობრივი, ფონოლოგიური და წიგნიერების უნარების განვითარებაზე მუშაობს.

- ინდივიდუალური და/ან მცირე ჯგუფური მუშაობა კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვებთან

ბაგა-ბაღში მომუშავე კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი) თანამშრომლობს სპეციფიური ენობრივი დარღვევის მქონე ბავშვების მშობელთან, აღმზრდელთან, ასევე ბაგა-ბაღის ფსიქოლოგთან და სპეციალური განათლების პედაგოგთან; მონაწილეობს ბავშვის ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და ასრულებს, ამ გეგმის მიხედვით, მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობებს.

- აღმზრდელთან თანამშრომლობა

ბაგა-ბაღში მომუშავე კომუნიკაციის, ენის და მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი) თანამშრომლობს ბაგა-ბაღის აღმზრდელებთან, ბავშვებში, ასაკის შესაბამისი, კომუნიკაციური, ენობრივი და ფონოლოგიური ცნობიერების და წიგნიერების აქტივობების დასაგეგმად და გასამრავალფეროვნებლად.

2. მეტყველების, ენისა და კომუნიკაციის საჭიროების მქონე ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილება

ჩვენ გვესმის ენის, როგორც კომუნიკაციისა და ურთიერთობის საშუალების, მნიშვნელობა. ენობრივი უნარ-ჩვევები საშუალებას აძლევს ბავშვებს დაამყარონ და შეინარჩუნონ სოციალური ურთიერთობა სხვებთან, რათა გამოხატონ და სხვებს გაუზიარონ

თავიანთი ფიქრები და გრძნობები, წარმოადგინონ და გაიგონ გარშემო არსებული სამყარო. ენა ასევე შინაგანად დაკავშირებულია და ხელს უწყობს ბავშვის როგორც შემეცნებით განვითარებას, ისე მისი იდენტობისა და კუთვნილების შეგრძნებას.

მეტყველების, ენისა და კომუნიკაციის სირთულის მქონე ბევრ ბავშვს შეუძლია წარმატებას მიაღწიოს განათლებაში, განსაკუთრებით იქ, სადაც საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამშრომლობითი გარემოა და მასწავლებლებს/აღმზრდელებს აქვთ წვდომა სპეციალისტებთან, ტრენინგებსა და სასწავლო რესურსებთან.

ამ ნაწილში მოცემულია მეტყველებისა და ენის ძირითადი პრობლემების მიმოხილვა, რაც შეიძლება ბავშვებმა გამოავლინონ და ამასთან ერთად მოყვანილია მოკლე მაგალითები, როგორ უნდა დაკმაყოფილდეს ბავშვის საჭიროებები. საინტერესოა, რომ შემოთავაზებული სტრატეგიები არ არის სასარგებლო მხოლოდ მეტყველებისა და ენის პრობლემების მქონე ბავშვისათვის. ამ სტრატეგიების ყველასთან გამოყენება ხელს შეუწყობს მთელი ჯგუფის/კლასის ენობრივი და აკადემიური პოტენციალის განვითარებას.

რა არის მეტყველება, ენა და კომუნიკაცია?

მეტყველება არის:	**ენა არის:** **ლაპარაკი (გამოხატვა) და გაგება (აღქმა)**	**კომუნიკაცია არის:** **როგორ ვურთიერთობთ სხვებთან (პრაგმატული/სოციალური)**
° ბგერების ზუსტად და სიტყვაში სწორად წარმოთქმა; ° ბგერები, რომლებსაც ადამიანები იყენებენ სიტყვებით კომუნიკაციის დროს; ° თავისუფლად ლაპარაკი ბორძიკის, სიტყვების ან ბგერების გაწელვის ან გამეორების გარეშე; ° გამომეტყველებით მკაფიო ხმით ლაპარაკი, მნიშვნელობის გასამყარებლად ტონალობის, ხმის სიმაღლისა და ინტონაციის გამოყენება.	° სიტყვების გამოყენება წინადადებების ასაგებად, წინადადებების გამოყენება ლაპარაკისა და სალაპარაკო ენის უფრო დიდი მონაკვეთების ასაგებად; ° იმის გაგება და გააზრება, რას ამბობენ ადამიანები.	° ენის გამოყენება ცნებებისა და აზრების გამოსახატად; ° ენის გამოყენება სხვადასხვაგვარად, კითხვის დასასმელად, რაიმეს გასარკვევად, აღწერისათვის და ასე შემდეგ. ° კომუნიკაციის არავერბალური წესები, კარგი მოსმენა, ადამიანებზე დაკვირვება და ცოდნა, როგორ შეცვალონ ენა სიტუაციისა და იმ ადამიანის შესაბამისად, ვისაც ესაუბრებიან; ° სხვა ადამიანების შეხედულებების, აზრებისა და უფრო ფართო კონტექსტის მხედველობაში მიღება; ° ბევრი ბავშვი ახორციელებს წარმატებულ კომუნიკაციას არავერბაური საშუალებების გამოყენებით: ნიშნები, ჟესტები, ბარათები ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები.

ბავშვს შეიძლება ჰქონდეს აღქმითი (იმპრესიული), გამომხატველობითი (ექსპრესიული) ან მთლიანად, ენობრივი დარღვევა. ენობრივმა დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს თავდაჯერებულობისა და საკუთარი თავის რწმენის დაქვეითება, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს პიროვნულ და სოციალურ ურთიერთობებზე.

კვლევები გვიჩვენებს, რომ ბავშვს რაც უფრო რთული ენობრივი დარღვევა ახასიათებს, უფრო მეტად ავლენს ქცევით პრობლემებს. ბევრ ბავშვს სჭირდება მეტყველების, ენისა და სოციალური კომუნიკაციის უნარების მიმართული სწავლება, მაგრამ ზოგიერთი მოსწავლე ამას ბუნებრივად სწავლობს.

გავრცელებულობა

მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ენისა და კომუნიკაციის პრობლემებთან, ცვალებადია. გარკვეული მონაცემების თანახმად, შესაძლოა მეტყველებისა და კომუნიკაციის პრობლემები 30 ბავშვიან ჯგუფში დაახლოებით სამ ბავშვს ჰქონდეს.

მიმოხილვა

რა არის მეტყველების, ენისა და კომუნიკაციის საჭიროებები?

ეს არის ზოგადი ტერმინი, რაც მოიცავს ენობრივი საჭიროებების ფართო სპექტრს, მათ შორის ენობრივ შეფერხებასა და დარღვევას.

შეფერხება

ეს ტერმინი მოიცავს ბავშვებს, რომლებიც შეიძლება ნორმალური განვითარების მოდელს მიჰყვებოდნენ, მაგრამ მათი ქრონოლოგიური ასაკისათვის შესაფერის საფეხურზე არ იყვნენ.

დარღვევა

დარღვევაა, როცა ბავშვის მეტყველებისა და ენის უნარ-ჩვევები არ ვითარდება იმ გზით, როგორც ეს ბავშვების უმრავლესობის შემთხვევაში ხდება. ენისა და მეტყველების დარღვევის მქონე მოსწავლემ შეიძლება სიტყვების წარმოთქმისას შეცდომები დაუშვას, ან ენა დაებას. ენის შეთვისება შეიძლება ფრაგმენტული იყოს, მაგალითად, უფრო რთული ცნება შეიძლება გაიგონ, მაშინ როცა ელემენტარული ცნებები, როგორიცაა ფერი, ზომა – ვერა.

რატომ არის ენა მნიშვნელოვანი?

- ენა საშუალებას გვაძლევს, რომ ჩვენი საჭიროებები, აზრები და იდეები სხვებს გავაცნოთ;
- ენა მნიშვნელოვანია შემეცნებითი განვითარებისათვის, ენის გარეშე არ გვაქვს დაუმუშავებელი მასალა, რაზედაც უნდა დავფიქრდეთ;
- ეფექტური ენობრივი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები ძლიერ, პოზიტიურ გავლენას ახდენენ სოციალურ ურთიერთობებზე;
- ენა მნიშვნელოვანია საკუთარი ქცევისა და სხვის ქცევაზე რეაგირების რეგულირებისათვის.

(ვესტვუდი, 2003)

ენა შედგება აღქმითი (იმპრესიული) და გამომხატველი (ექსპრესიული) ნაწილებისაგან. მეტყველებისა და ენის საჭიროების მქონე ბავშვმა შეიძლება ენის ერთ ან რამდენიმე სფეროში გამოავლინოს პრობლემები, მათ შორის მორფოლოგიაში, სინტაქსში/გრამატიკაში, სემანტიკაში, პრაგმატიკასა და ფონოლოგიაში.

ენა ასევე შეიძლება გავიაზროთ **შინაარსის, ფორმისა და გამოყენების** მიხედვით.

მორფოლოგია, სინტაქსი, სემანტიკა, პრაგმატიკა, ფონოლოგია

- **მორფოლოგია** არის გრამატიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს სიტყვათა ფორმებს (ძილი, დაძინება, ეძინა)
- **სინტაქსი** არის გრამატიკის დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვათა კავშირის წესებს და წინადადების აგებულებას.
- **სემანტიკა** მოიაზრებს სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებების მნიშვნელობას.
- **პრაგმატიკაში** მოიაზრება ის, თუ როგორ ვიყენებთ ენას სხვადასხვა სიტუაციაში და როგორ გადმოვცემთ გრძნობებს.
- **ფონოლოგია** სიტყვათა ბგერებსა და ბგერათშეთანხმებას სწავლობს.

როგორ დავეხმაროთ მეტყველებისა და ენის პრობლემების მქონე ბავშვს?

ხშირად, აღმზრდელებს/მასწავლებლებს უჭირთ ბავშვის საჭიროების დაკმაყოფილება, იმის მიუხედავად, რომ ისინი ადვილად განსაზღვრავენ, რომ ბავშვს მეტყველების პრობლემები აქვს.

პრობლემა შეიძლება იყოს **ფონოლოგიური** ან **არტიკულაციური**.

ფონოლოგიური

ფონოლოგიური პრობლემები არის ბგერათა სისტემის შეფერხება ან მოშლა.

- მეტყველების პრობლემების მქონე ზოგ მოსაწავლეს პრობლემები აქვს მეტყველების აღქმაში (რაც ენის ნაწილია და არა მეტყველების), მაგ., მსგავსი სიტყვების დიფერენცირებაში.
- ზოგიერთს შეზღუდული ან ბუნდოვანი სიტყვების მარაგი აქვს, რაც ართულებს მათ გამოყენებას, მაგ., სიტყვის მოძებნის პრობლემა ან მათი გარკვევით წარმოთქმა სიტყვათა მარაგში ელემენტების დაკარგვის გამო.

არტიკულაციური

არტიკულაციური პრობლემები ეწოდება მეტყველების მექანიკას, მაგალითად, როგორ იქმნება მეტყველებაში გამოყენებული ბგერები. ეს პრობლემები ვლინდება დისპრაქსიის, დისართიის ან ტუჩზე/სასაზე ნაპრალის დროს. ბავშვს შეიძლება პრობლემები ჰქონდეს სიტყვების წარმოთქმისას არტიკულაციის დონეზე იმის მიუხედავად, რომ მან ეს სიტყვები კარგად იცის (ეს მეტყველების, ფონეტიკური, საარტიკულაციო სფეროა).

ხანგრძლივი პრობლემების დროს ჩარევა ხდება ყველა ასპექტში. თუმცა მეტყველებისა და ენის ყველა პრობლემა არ არის დაკავშირებული წერა-კითხვის პრობლემებთან. მოსწავლეთა უმეტესობა, რომელთა ენისა და მეტყველების პრობლემები 5 წლის ასაკზე მეტხანს გრძელდება, რისკის ქვეშ არიან, რომ მათ კითხვის, მართლწერისა და ხანდახან მათემატიკის პრობლემებიც ექნებათ.

სწავლებისა და სწავლის სტრატეგიები:

რეკომენდაციები, რომელიც ენისა და მეტყველების სპეციალისტებმა აღმზრდელებს, მასწავლებლებსა და მშობლებს უნდა მისცენ და თავადაც გამოიყენონ:

- სპეციალისტმა უნდა შეაფასოს ბავშვის ბგერითი სისტემის აღქმა. რომელ ბგერებს აღიქვამს, რომელს ვერა, რომელს ანაცვლებს და ა.შ.
- უფროსმა რეაგირება უნდა მოახდინოს (უპასუხოს) ბავშვის ნათქვამზე, იმის მი-

უხედავად, მკაფიოდ ამბობს თუ არა;

- უფროსმა სწორად უნდა გაიმეოროს ბავშვის გაუგებრად ნათქვამი;
- სპეციალისტებმა, უფროსებმა, მასწავლებლებმა უნდა წაახალისონ ბავშვები, გამოიყენონ ჟესტები, ხატვა ან წერა,რომ მათი მეტყველება გასაგები გახდეს;
- უფროსებმა თავი უნდა აარიდონ არასწორად გამოთქმული სიტყვების მუდმივ გამეორებას;
- უფროსებმა ბავშვს თავი მეგობრულ გარემოში უნდა აგრძნობინონ და ღირსებისა და თავდაჯერებულობის გრძნობა გაუძლიერონ; შეაქონ ბავშვი წარმატებული კომუნიკაციის შემთხვევაში;
- განსაზღვრონ და შეაქონ ბავშვის სხვა ძლიერი მხარე;
- აღმზრდელებმა, მასწავლებლებმა უნდა გაიაზრონ, როდის უნდა უპასუხოს ბავშვმა დასმულ კითხვაზე.
- უფროსებმა უნდა გაიმეორონ ბავშვის სწორად ნათქვამიც, აჩვენონ, რომ მათ ეს შენიშნეს;
- დაემორჩილონ წესს: „არ თქვა, თქვი". უფროსებმა არ უნდა სთხოვონ ბავშვს ნათქვამის გამეორება.
- სპეციალისტებმა უნდა იკითხონ სახლში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, ამ გზით აღმზრდელები/სპეციალისტები არკვევენ, რა კონტექსტში გაუბან საუბარი ბავშვებს/მოსწავლეებს.

ენის აღქმითი (იმპრესიული), გამომხატველობითი და პრაგმატული გამოყენება ენის აღქმითი უნარ-ჩვევები

ენის აღქმითი უნარ-ჩვევების პრობლემებს შემდეგი ნიშნები ახასიათებს:

- აღსაზრდელებს/მოსწავლეებს შეიძლება გაუჭირდეთ მიყვნენ ჯგუფის/კლასის რუტინას; გაუჭირდეთ კონცენტრირება;
- გაუჭირდეთ აბსტრაქტული ცნების გაგება (განსაკუთრებით გავლენას ახდენს მათემატიკის, არითმეტიკისა და გარე სამყაროს შესწავლაზე);
- დასჭირდეთ მითითებების ბევრჯერ გამეორება ან ამ მითითებების დანაწევრება და გამარტივება;
- შეიძლება შეუსაბამო პასუხები გასცენ დასმულ კითხვებზე;
- შეიძლება ამოირჩიონ დავალებები ან უარი თქვან ქმედებებზე, რომლებსაც ვერ გებულობენ;
- შეიძლება სხვისი ნათქვამი გაიმეორონ (ექოლალია);
- გაუჭირდეთ ახალი ლექსიკის სწავლა;
- შეიძლება არაადეკვატურად უპასუხონ კითხვებს, როცა ნათქვამის მნიშვნელობას ვერ იგებენ;
- ისინი ვერ ხვდებიან სახის გამომეტყველებას და უჭირთ სხისი ემოციების კონტექსტის გაგება;
- ისინი პირდაპირი მნიშვნელობით იგებენ ნათქვამს და
- ავლენენ ქცევით პრობლემებს.

ენის აღქმით უნარ-ჩვევებში პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების სტრატეგიები

რეკომენდაციები, რომელიც ენისა და მეტყველების სპეციალისტებმა აღმზრდელებს, მასწავლებლებსა და მშობლებს უნდა მისცენ და თავადაც გამოიყენონ:

- უფროსს უნდა ჰქონდეს სწავლის კონკრეტული მიზანი, რასაც ჯგუფში გამოიყენებს;
- შეამოწმოს, უსმენს თუ არა ბავშვი და ხელი შეუწყოს ამაში;
- ბავშვს სახელით მიმართოს, მითითების მიცემის დროს, ან დაამყაროს თვალებით კონტაქტი (თუ შესაძლებელია);
- გამოიყენოს ვიზუალური სტრატეგიები და უსიტყვო მინიშნებები ნათქვამის გასამყარებლად;
- დაეხმაროს ბავშვს, ადრინდელი ცოდნა და გამოცდილება ახლანდელს დაუკავშიროს;
- ძირითადი სიტყვები მახვილით გამოყოს;
- უნდა დაფიქრდეს მითითებების სიგრძეზე, ერთი მითითების მიცემა აჯობებს, თუ მრავალჯერადისა. მოსწავლეებს, ერთ ჯერზე, ერთი მითითება უნდა მისცეს,სანამ მეორეს დაამატებს;
- უნდა შეამოწმოს, რა გაიგო ბავშვმა, დააკვირდეს პასუხს და გაარკვიოს ნებისმიერი გაუგებრობა;
- ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს, გამოიყენონ საკუთარი სტრატეგიები, მაგალითად, გამეორება ან ვიზუალიზაცია;
- მოსწავლე უნდა წაახალისოს, უთხრას, როცა რაიმეს ვერ იგებს. ეს შეიძლება როგორც ვერბალურად, ასევე არავერბალური გზებით, მაგალითად, „შუქნიშნის“ სისტემის გამოყენებით;
- საშუალება უნდა მისცეს ბავშვს, გადაამუშაოს ინფორმაცია,უნდა მიმართოს „10- წამიან წესს“(უფროსი მშვიდად ითვლის 10-მდე,ელოდება ბავშვისგან პასუხს);

გამომხატველობითი (ექსპრესიული) ენა

გამომხატველობით ენაში პრობლემების მქონე მოსწავლეებმა შეიძლება

- გამოიყენონ მოკლე/დაუსრულებელი წინადადებები;
- ხშირად იხმარონ მინიშნებები ან ჟესტები მნიშვნელობის გადმოსაცემად;
- შენელებულად გამოხატონ საკუთარი აზრები;
- გამოტოვონ გრამატიკული ფორმები ან დაუშვან შეცდომები მაგ., სიტყვის დასრულებისას;
- გაუჭირდეთ მოვლენების ან ამბების ფორმირება აზრიანი თანამიმდევრობით;
- ვერ შეძლონ წინადადების/კითხვების სათანადოდ ფორმირება;
- ვერ შეძლონ ზუსტი სიტყვების მოძებნა საჭირო დროს, რასაც შედეგად მოჰყვება ხშირი პაუზები ან შემავსებელი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა, „ისა, რა ქვია..“;
- მათ შეიძლება გაუჭირდეთ კლასის/ჯგუფის დისკუსიებში მონაწილეობის მიღება, ახსნან რაიმე, ან აღწერონ, რას აკეთებენ.

გამომხატველობით ენაში პრობლემების მქონე მოსწავლეებისთვის დახმარების სტრატეგიები

რეკომენდაციები, რომელიც ენისა და მეტყველების სპეციალისტებმა აღმზრდელებს, მასწავლებლებსა და მშობლებს უნდა მისცენ და თავადაც გამოიყენონ:

- უფროსმა უნდა მისცეს მოსწავლეს დრო, იფიქროს იმაზე, რისი თქმაც უნდა, მოძებნოს საჭირო სიტყვები და ჩამოაყალიბოს წინადადება;
- დაუსვას ღია კითხვები;
- შეახსენოს, თუ მოსწავლე ვერ მოიფიქრებს სიტყვას, მაგ., რას აკეთებ ამ საგნით? სად შეგიძლია მისი ნახვა? რას ჰგავს ის?
- გამოიყენოს მულტისენსორული სწავლების მეთოდები, რაც ხელს შეუწყობს სიტყვების მარაგის ზრდას და სიტყვების გახსენებას მომავალში, ახალი სიტყვების სწავლების დროს;
- გაიმეოროს მოსწავლის ნათქვამი, მაგრამ გაიმეოროს სწორად;
- განავრცოს მოსწავლის ნათქვამი, ახალი სიტყვებისა და აზრის დამატებით;
- თავი აარიდოს მოსწავლისთვის წინადადების გამეორების თხოვნას;
- თავი აარიდოს მოსწავლეებისათვის წინადადების დასრულებისა ან იმ სიტყვების გამეორების თხოვნას, რომლებიც ვერ გაიგონა, რადგან ამით შეიძლება იმედი გაუცრუოს მოსწავლეს.

პრაგმატული ენა: ენის სოციალური გამოყენება

ბავშვებს, ასევე, მოეთხოვებათ ენის სოციალურ კონტექსტში გამოყენება. მათ სჭირდებათ საუბრის წესებში გარკვევა.

პრაგმატული ენა მოიცავს კომუნიკაციის სამ ძირითად უნარ-ჩვევას:

ენის გამოყენება, ენის ცვლილება, წესების მიყოლა.

ენის გამოყენება არის ის,თუ როგორ გამოიყენება ენა სხვადასხვა მიზნით, მაგალითად:

- **მისალმება** (მაგ., გამარჯობა, ნახვამდის);
- **ინფორმირება** (მაგ., მწყურია);
- **მოთხოვნა** (მაგ., დამალევინე);
- **დაპირება** (მაგ., დაგალევინებ); და
- **თხოვნა** (მაგ.,შეიძლება, დავლიო)

ენის ცვლილება ნიშნავს, სად უნდა შეიცვალოს ენა მსმენელის საჭიროების ან სიტუაციის შესაბამისად, მაგალითად:

- თანატოლებთან და უფროსებთან სხვადასხვაგვარად საუბარი;
- უცნობი მსმენელისათვის ფონური ინფორმაციის მიცემა;
- საკლასო ოთახსა და სათამაშო მოედანზე სხვადასხვაგვარად საუბარი.

წესების მიყოლა ნიშნავს, სად უნდა შეიცვალოს ენა საუბრისა და ამბის თხრობის მიხედვით, მაგალითად:

- მონაცვლეობა საუბარში;
- საუბრის თემების გაცნობა;

- ერთ თემაზე შეჩერება;
- ფრაზის გამეორება, როცა არასწორად ესმით;
- სიტყვიერი და უსიტყვო ნიშნების გამოყენება;
- რამდენად ახლოს უნდა ვიდგეთ თანამოსაუბრესთან;
- სახის გამომეტყველებისა და თვალებით კონტაქტის გამოყენება.

მოსწავლეებს შეიძლება გაუჭირდეთ

- შინაარსისა და მიმართულების გაგება (თავისუფალი/მკაფიო საუბრის მიუხედავად);
- იყონ კონკრეტულები;
- აზრის გაგება;
- უნარ-ჩვევების შესრულება;
- საუბრის დაუწერელი წესების მიყოლა;
- სკოლის/ბაღის რუტინასა და მოვლენებში ჩართვა;
- პირობითი ენის გამოყენება;
- უსიტყვო კომუნიკაციის გაგება;
- პროსოდიის (მეტყველების რითმის, მახვილისა და ინტონაციის) მიხვედრა;
- იუმორის გაგება;
- სხვადასხვა მოსაზრებების შეფასება; და
- განზოგადება, მაგალითად, ერთ სიტუაციაში ქცევის სწავლა, მაგრამ მეორე სიტუაციაზე ამ ქცევის მორგება.

პრაგმატული ენობრივი საჭიროების მქონე მოსწავლეების დახმარების სტრატეგიები

რეკომენდაციები, რომელიც ენისა და მეტყველების სპეციალისტებმა აღმზრდელებს, მასწავლებლებსა და მშობლებს უნდა მისცენ და თავადაც გამოიყენონ:

უფროსმა უნდა

- წაახალისოს მოსწავლე, აქტიურად უსმინოს;
- ხელი შეუწყოს, რომ ბავშვმა გამოიყენოს მისალმება და დამშვიდობება;
- თვალებით კონტაქტით, ან თავის დაქნევით, სტიმული მისცეს მოსწავლეს;
- მიიღოს მხოლოდ საუბრისათვის შესაფერისი ენა;
- ხელი შეუწყოს თამაშებსა და საუბარში მოსწავლეების მონაცვლეობას;
- მუდმივი ჩარევებით, თავიდან აარიდოს ყურადღების სხვა საგანზე გადატანა;
- მისცეს მოსწავლეს დრო პასუხის გასაცემად.

იმპრესიული და ექსპრესიული ენის დარღვევა

ზოგ ბავშვს აქვს სრული ენობრივი დარღვევა და აქვს როგორც აღქმითი, ისე გა-

მომხატველობით ენობრივი პრობლემები. სრული ენობრივი დარღვევა გავლენას ახდენს ენის გაგებაზეც და გამოყენებაზეც.

მეტყველების, ენისა და კომუნიკაციის სამივე ელემენტი საჭიროა შეტყობინების გადასაცემად. სამივე ელემენტი (გამოყენება, ცვლილება და წესების მიყოლა) მრავალწახნაგოვანი და მრავალფენოვანია. ამ ელემენტებიდან ერთ-ერთის უქონლობით ბავშვის საუბარი და გაგება გაჭირდება, ხოლო ამ ელემენტებით ბავშვის ცოდნამ შეიძლება მაქსიმუმს მიაღწიოს.

კარგი პრაქტიკის შეჯამება

რეკომენდაციები, რომელიც ენისა და მეტყველების სპეციალისტებმა აღმზრდელებს, მასწავლებლებსა და მშობლებს უნდა მისცენ და თავადაც გამოიყენონ:

- უნდა დარწმუნდეს, რომ ბავშვს სმენა არ აქვს დაქვეითებული;
- მიმართოს სახელით, ყურადღების მისაპყრობად;
- გააცნობიეროს, რამდენად მარტივად და გასაგებად ესაუბრება ბავშვს; გააცნობიეროს ბავშვთან გამოყენებული ენის სირთულე, ენა შეიძლება რთული იყოს წინადადებების სიგრძის, სტრუქტურის (გრამატიკის) და გამოყენებული ლექსიკის გამო;
- დაიწყოს აქტივობა თითოეული ნაბიჯის მკაფიო, მარტივი ენით ახსნით;
- გამოიყენოს შეძლებისდაგვარად ვიზუალური მასალა, მაგალითად, გამოიყენოს რეალური საგნები, სურათები, ფოტოები, ვიდეოები და სიმბოლოები;
- ესმოდეს მულტისენსორული მასალების გამოყენების უპირატესობა;
- მისცეს რიგი ინსტრუქციები ბავშვს და ინსტრუქციებს შორის შეისვენოს, რომ ბავშვს ინფორმაციის გადასამუშავებლად დრო მისცეს;
- გამოყოს ძირითადი სიტყვები, მახვილისა და შესაბამისი არავერბალური კომუნიკაციის გამოყენებით;
- გააცნოს მოსწავლეს ახალი ლექსიკა, ვიზუალური სტრატეგიების, მაგალითად, ვებ-გვერდების, დიაგრამების ან სიტყვების ცხრილის გამოყენებით;
- გაიაზროს სქემები თემების წარმოდგენის ან განხილვის დროს;
- სცადოს, ბავშვს სურათების, საგნების ან ვარაუდების გამოყენებით ყველაფერი გააგებინოს, რაც ვერ გაიგო;
- თავი აარიდოს ბავშვისათვის გამეორების თხოვნას, ამის ნაცვლად, კიდევ ერთხელ განსაზღვროს, თუ რა გაიგეს მისი ნათქვამიდან;
- მას უნდა ჰქონდეს რეალური მოლოდინები;
- მისცეს ბავშვებს საუბრის დრო, ბავშვს უნდა ჰქონდეს მეტი დრო კითხვის გასაგებად, პასუხის მოსაფიქრებლად და სათქმელად;
- თავი აარიდოს წინადადების დასრულებას, მაგრამ გაიმეოროს, რა თქვა ბავშვმა მკაფიოდ და სწორად, ამით ის მოისმენს კარგ მაგალითს; და
- სცადოს მოკლე კითხვების დასმა, მაგალითად, ფუნქციების, ასოციაციების, მსგავსებებისა და განსხვავებების შესახებ, თუ ბავშვი ვერ იხსენებს რაიმე სიტყვას.

გარემოს გათვალისწინება

რეკომენდაციები, რომელიც ენისა და მეტყველების სპეციალისტებმა აღმზრდელებს, მასწავლებლებსა და მშობლებს უნდა მისცენ და თავადაც გამოიყენონ:

- შეიძლება საჭირო გახდეს ჯგუფის/კლასის და ბაღის/სკოლის გარემოს მოწესრიგება, მაგალითად, სადაც შესაძლებელია, ხმაურის შემცირება. უნდა გვესმოდეს ვიზუალური დემონსტრირების გავლენა ბავშვებზე. ზოგიერთ შემთხვევაში, ვიზუალური მასალა ხელს უშლის ბავშვებს ყურადღების კონცენტრირებასა და მოსმენაში. გარემო, ბავშვების კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად, უნდა ვცვალოთ;
- უნდა გავიაზროთ მთელი ჯგუფის/კლასის აქტივობების ენობრივი საჭიროებები. ფეხი აუწყოს ჯგუფს და კლასის სიტუაციაში ყურადღების კონცენტრირება, განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ენობრივი პრობლემების მქონე ბავშვებისათვის;
- უნდა გავითვალისწინოთ, სად ზის ბავშვი ჯგუფში/საკლასო ოთახში. კარგი იქნება, თუ ბავშვს საშუალება მიეცემა, პირდაპირი კონტაქტი დაამყაროს უფროსთან;
- გარკვეული ადგილი უნდა გამოვყოთ ოთახში რესურსისათვის, სხვადასხვა სფეროებისათვის და გარკვევით დავაწეროთ სახელები კონტეინერებს, კუთხეებს.

შეჯამება და დასკვნა

- ენა ძირითადი საშუალებაა კომუნიკაციისათვის, სწავლის, ფიქრისა და დამახსოვრებისათვის.
- არსებობს დადებითი კავშირი იმ ენას შორის, რომელზეც ბავშვებს ველაპარაკებით და ბავშვების ენობრივ ზრდას შორის.
- ბავშვები საუკეთესო შედეგს აღწევენ მშობლებსა და პროფესიონალებს შორის თანამშრომლობის შედეგად;
- გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენობრივი უნარ-ჩვევების შეთვისებაში.

ადრეულ ეფექტურ ჩარევას და მშობლების აქტიურ ჩართულობას, შედეგად ეფექტური აკადემიური მიღწევები და სოციალური ინტეგრაცია მოჰყვება.

მშობლებთან და ბავშვებთან სპეციალისტების გულწრფელი, გულისხმიერი და კომპეტენტური დამოკიდებულება ხელს შეუწყობს ნდობით სავსე ეფექტური ურთიერთობის განვითარებას მშობლებსა და ბავშვებს შორის. მშობლებისა და პროფესიონალების ერთობლივი ძალისხმევა, ცოდნა, გამოცდილება და მოტივაცია დაეხმარება ბავშვებს,საკუთარი პოტენციალი სრულად გამოავლინონ.

3. ფუნქციური (პრაგმატული) ენის განვითარების მნიშვნელობა

მცირეწლოვანი ბავშვების ადრეული განათლება ყველასათვის მნიშვნელოვანი გამოცდილებაა. თითოეული ბავშვი და ოჯახი უნიკალურია განსხვავებული საჭიროებებითა და საზრუნავით. ბავშვის განვითარება ექვს სფეროში ვლინდება. ეს ადასტურებს, რომ შეიძლება დიდი სხვაობა არსებობდეს ერთი და იმავე ასაკის ბავშვების განვითარებას შორის. განვითარების სფეროებია:

- პიროვნული, სოციალური და ემოციური განვითარება
- კომუნიკაცია, ენა და წერა-კითხვა
- პრობლემის გადაჭრა, ლოგიკური მსჯელობა, ანგარიშის უნარი
- ცოდნა და სამყაროს გაგება
- ფიზიკური განვითარება
- შემოქმედებითი განვითარება

ენასა და კომუნიკაციას ექვსივე სფეროში შეაქვს წვლილი და ძირითადი ადგილი უჭირავს სწავლასა და შემეცნებაში.

ბავშვის განვითარების პროცესში ენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ის აუცილებელია სწავლისათვის, ურთიერთობის დასამყარებლად და გარე სამყაროს გასააზრებლად. თქვენი როლი, ბავშვის მიერ ენის შეთვისების ხელშეწყობაში, უკიდურესად მნიშვნელოვანია. ამასთან, ეს არა მხოლოდ იმათი კომპეტენციაა, ვინც უშუალოდ ბავშვებთან მუშაობს, არამედ მშობლების, მომვლელების, ოჯახისა და პოლიტიკის გამტარებლების საზრუნავიც არის. აუცილებელია, პროფესიონალებმა თავიანთი ცოდნა დაინტერესებულ მხარეებსაც გაუზიარონ. ბავშვებთან მუშაობის დროს თქვენი პროფესიული როლის შეფასება და მისი პრაქტიკული გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. ცოდნა და გადმოცემა, როგორ ითვისებენ პატარა ბავშვები ენას და ვითარდებიან კომპეტენტურ მოაზროვნეებად და ენის გამომყენებლებად, მნიშვნელოვანია კარგი პრაქტიკისათვის.

სპეციალისტებმა, ბავშვებში პრაგმატული ენის განვითარების ხელშესაწყობად, უნდა განავითარონ, დემონსტრირება გაუკეთონ და მუდმივად გააუმჯობესონ:

- ურთიერთობა, როგორც ბავშვებთან, ისე უფროსებთან
- იმის გაგება, რომ ბავშვები სწავლობენ და ვითარდებიან ინდივიდუალური და განსხვავებული გზებით
- კომპეტენცია, რომ აქტიურად დაეხმარონ და გააფართოონ ბავშვების ცოდნა სწავლისა და განვითარების ყველა სფეროსა და ასპექტში
- ყველა ბავშვის საჭიროებების, სწავლის სტილისა და ინტერესების დაკმაყოფილების პრაქტიკა

ბავშვები ძალიან ეფექტურად სწავლობენ თამაშ-თამაშით, პრაქტიკულ აქტივობებში ჩართვითა და მდიდარი გამოცდილების დაგროვებით. უფროსები უნდა ჩაერთონ თამაშში, ესაუბრონ, მოუსმინონ ბავშვებს, გაითვალისწინონ მათი ინტერესები და გამოცდილება. ბავშვებს სჭირდებათ თავდაჯერებულობა და შესაძლებლობის მიცემა, თავიანთი უნარები განსხვავებულ გარემოებებში, სხვადასხვა მიზნებისთვის გამოიყენონ. სპეციალისტმა უნდა გააკეთოს ჩანაწერები ბავშვის თამაშის, სწავლისა და ენობრივი მიღწევების შესახებ იმის განსასაზღვრად, არის თუ არა მიღებული ზომები კვალიფიციური.

ქვემოთ მოცემულია ჩანაწერების ცხრილი, საიდანაც კარგად ჩანს, რამდენად განსაზღვრავს კომუნიკაცია, ენა და მეტყველება განვითარების ყველა სფეროს და რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვის აქტივობებს, განვითარების სფეროებსა და მის მომავალ უნარებს შორის კავშირი.

3 წლის მირანდა საბავშვო ბაღში[1]

კომუნიკაცია, ენა და წერა-კითხვა	**დაკვირვება: რა ხდება?**	**რას გვიჩვენებს**	**რა იქნება შემდგომ?**
ქმნის სიმღერებს, რითმებსა და ლექსებს	მუსიკის დროს მირანდა დოლზე დაკვრას ითხოვს	კომუნიკაციას ამყარებს უფროსებთან, მუსიკასა და რითმებში გამოცდილებას იღებს	შესაძლებლობა, გამოხატოს, რას ანიჭებს უპირატესობას
იგებს მოთხრობის ფრაგმენტებს, იცის, რომ ნაბეჭდში მნიშვნელობა დევს	მირანდა და ლუკა საბავშვო საწოლზე სხედან და ერთად კითხულობენ	აჩვენებს თავდაჯერებულობას, მოსწონს წიგნები და მასში გადმოცემული ამბები	უვითარდება წიგნის მოხმარების უნარ-ჩვევები
მოსწონს მოსმენა და თამაშში სალაპარაკო ენას იყენებს	მირანდა ველოსიპედს ამუხრუჭებს ბავშვის გვერდით და ყვირის „ახლა შენი ჯერია“	სწავლობს სხვების აზრების გათვალისწინებას	ხელს უწყობს სხვების შესახებ კომუნიკაციას
ისმენს სიამოვნებით და ეხმიანება ამბებს, სიმღერებს, რითმებსა და ლექსებს.	მირანდა უერთდება, როცა ლიკა მუსიკას უკრავს და მღერის	გამოხატავს თავისთავს სიმღერის, ჟესტისა და მოძრაობის საშუალებით	იღებს დიდ მუსიკალურ გამოცდილებას
ლაპარაკობს გარკვევით და ხმამაღლა თავდაჯერებითა და კონტროლით და ავლენს მსმენელის გაცნობიერებულობას.	როცა მშობელი მიდის, მირანდა ხელს უქნევს და ამბობს „ნახვამდის“	ავლენს მეტ იმპულსს სხვებთან კომუნიკაციის დროს	უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს ურთიერთობისათვის.
ყურადღებით უსმენს, შესაბამისი კომენტარებით, კითხვებით ან ქმედებით პასუხობს, რაც გაიგონა	მირანდამ ააწყო თავსატეხი და ტაში დაუკრა თავის მიღწევას. მან გაიმეორა უფროსის ნათქვამი „ყოჩაღ, მირანდა:“	მოსმენა და სხვების ნათქვამზე აზრიანი პასუხების გაცემა	დრო კომუნიკაციური ურთიერთობის ასაგებად
მოსწონს მოსმენა და იყენებს სიტყვებს საუბრისას თამაშის დროს ხალისით ბრუნდება მისკენ	მირანდა და ლიკა კუთხეში თუნუქის კოლოფებიდან ვითომ სვამენ „ჩემი ჩაი“-ს.	სხვებთან კომუნიკაცია და მოლაპარაკება	ხელს უწყობს დროისა და სივრცის წარმოდგენების, ასევე პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას საუბარში.
იყენებს საუბარს ფიქრის, აზრების, გრძნობებისა და მოვლენების განმარტებისა და თანმიმდევრობის დასაცავად	მირანდამ დაინახა, ვიღაცას ეცვა ვარდისფერი ფეხსაცმელი და სწორად თქვა „ემილისას ჰგავს“	შეუძლია საგნების შედარება და კლასიფიცირება	უფრო მეტ დროს უთმობს სხვების შესახებ რაიმეს გაგებას
ურთიერთობს სხვებთან, ათანხმებს გეგმებს და ქმედებებს და მონაცვლეობს საუბარში, ეძიებს და ექსპერიმენტებს აკეთებს ბგერებით	მირანდამ მწკრივში ჩაალაგა სკამები, მეგობრები დაიხმარა, რომ „ჩუქუ ჩუქუ მატარებელი“ მასთან ერთად ეთამაშათ	როლის თამაში ჯგუფში. საგნების მოძრაობა სასურველი ეფექტის მისაღებად	მატარებლის როლის სათამაშოდ მასალის შეთავაზება. ხმის მიბაძვა
აფართოებს ლექსიკას, ეძიებს ახალი სიტყვების მნიშვნელობას და ბგერებს	მირანდამ გააკეთა ნამცხვრები პლასტელინისაგან და ტაფაზე დააგდო „ნამცხვარი ფრინავს“	აღმოჩენების გაკეთება, კომპეტენციის განვითარება, მოხერხებულობა	შემდგომ შესაძლებლობებს იყენებს წარმოსახვითი ენისათვის

1 მასალა ადაპტირებულია ვებ-გვერდიდან: www.early-education.org.uk

ცდილობს დაწეროს სხვადასხვა მიზნებით	მირანდა იყენებს ორ ფუნჯს ხაზების დასახაზად და იყენებს მთელ ფურცელს, ფიქრობს მტკიცედ და ფრთხილობს	იკვლევს და ექსპერიმენტებს აკეთებს ფერებითა და ნიმუშებით, აკეთებს საკუთარ ნიშნებსა და ხაზებს	აკეთებს ნიშნებსა და სიმბოლოებს იმიტირებისათვის
იყენებს ენას როლებისა და ქმედებების წარმოსახვისა და ხელახლა შექმნისათვის	ჩაის სმის დროს მირანდა თოჯინას კრეკერს აჭმევს „საუზმეზე ბავშვი ჭამს“	ავითარებს მოფერებით უნარ-ჩვევებს. აკავშირებს ენას ქმედებასთან და როლების თამაშთან	ხელს უწყობს ახალი ლექსიკის ჩამოყალიბებას
იყენებს ფანქარს და ეფექტურად უჭირავს ის	იყენებს მაკარონს მაჯის შესახვევის გასაკეთებლად, ხატავს ფუნჯით, ოჯახის სურათებს ხატავს და აკეთებს რობოტს	ავითარებს მამოძრავებელ უნარ-ჩვევებს, ხელის ოსტატურად ხმარებას და ხელის და თვალის კოორდინაციას	ხელს უწყობს ხელის მარჯვედ ხმარების გამოცდილების განვითარებას
ლაპარაკობს გარკვევით და ხმამაღლა თავდაჯერებით და აკონტროლებს და ავლენს ცოდნას	მირანდა თამაშობს დამალობანას სენსორულ ოთახში ნიკოსთან ერთად და ხითხითებს „ახლა შენი ჯერია!“	ეძებს და ატარებს სხვებთან სიახლოვის ექსპერიმენტებს	ხელს უწყობს საუბრისა და ურთიერთობის შესაძლებლობებს
ცდილობს, დაწეროს სხვადასხვა მიზნებისთვის	მირანდა ჰარისთან ერთად პლასტელინისაგან ჩანგლით მოდელებს აკეთებს: „ჩემი უკეთესია“	თანამშრომლობითი ნიშნების გამოვლენა	ხელს უწყობს უფრო მეტი ნიშნების გამოვლენას შემდეგი გამოცდილებისათვის.

4. კომუნიკაცია და კომუნიკაციური უნარების ხელშეწყობა

კომუნიკაცია ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ ყველანი კომუნიკაციის ჩარჩოში ვარსებობთ და კომუნიკაციის საშუალებით ვცხოვრობთ. ყოველდღიურად თითოეული ჩვენგანი ათასობით ინფორმაციას გასცემს და იღებს. მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ ეს ინფორმაციები მხოლოდ მეტყველებისა და წერილობითი გზით არ გაიცემა და მიიღება.

მეტყველება არის... ენის გამოყენების ყველაზე გავრცელებული ფორმა, თუმცა ენის გამოყენების სხვა ფორმებიც არსებობს. სახის გამომეტყველება, სხეულის ენა, ჩვენს მიერ გაკეთებული არავერბალური მინიშნებები, თუნდაც ჩვენი ჩაცმულობა ან ვარცხნილობა კომუნიკაციის ისეთივე ძლიერი და მნიშვნელოვანი საშუალებებია, როგორც მეტყველება.

უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეულ ადამიანს გააჩნია თანდაყოლილი ენობრივი უნარი, ყველა ჩვენგანი პრეპროგრამირებულია ენის დასაუფლებლად (ნოამ ჩომსკი 1978). ბავშვები თანდაყოლილ ენობრივ უნარებს სხვებთან ყოველდღიურ კომუნიკაციასა და ინტერაქციაში ივითარებენ – უფროსები კომუნიკაციისა და ენის განვითარების როლური მოდელები არიან.

არსებობენ ბავშვები, რომლებსაც სახვადასხვა მდგომარეობის გამო (სმენის არქონა ან დაქვეითება, აუტიზმით გამოწვეული მოტორული დაგეგმარების სირთულეები და ა.შ.) უჭირთ თანდაყოლილი ენობრივი უნარის განვითარება და ასევე უჭირთ სხვებთან კომუნიკაციაში მეტყველების საშუალებით შესვლა. ზოგიერთი მათგანისათვის ეს საერთოდ შეუძლებელია, ზოგიერთისათვის კი რთული. არსებობენ ადამიანები, ვინც მეტყველების უნარი რაიმე ტრამვის გამო დროებით ან სამუდამოდ დაკარგა.

ეს არ ნიშნავს, რომ ეს ადამიანები არ ფლობენ შინაგან ენობრივ უნარებს, და მათ სხვებთან კომუნიკაციაში შესვლა არ შეუძლიათ. ჟესტური ენა და ასევე კომუნიკაციის ხელშემწყობი სხვადასხვა საშუალებები, სწორედ ენობრივ სტრუქტურაზეა დამყარებული, ოღონდ ამ შემთხვევაში, ერთი ადამიანის სხვა ადამიანთან კომუნიკაციის საშუ-

ალება არა მეტყველება, არამედ სხვა ენობრივი ინსტრუმენტებია – ჟესტები, სიმბოლოები, სურათები და ა.შ..

სხვა ადამიანთან კომუნიკაციის დამყარება ადამიანის ყველაზე ბუნებრივი და ცხოვრების ხარისხისათვის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებაა. კომუნიკაცია საჭიროა: ინფორმაციის გაცვლისათვის, ბაზისური საჭიროების დაკმაყოფილებისათვის, სოციალური სიახლოვისა და ეტიკეტების დაცვისათვის. კომუნიკაციის საშუალებით ჩვენ: უარს ვამბობთ იმაზე, რაც არ გვსურს, ვიღებთ იმას, რაც გვსურს, ვებმევით სოციალურ ურთიერთქმედებაში, მოვიპოვებთ და გადავცემთ ინფორმაციას.

ამიტომ, უფროსები მაქსიმალურად უნდა უწყობდნენ ხელს ყველა ბავშვის კომუნიკაციური პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას,მნიშვნელობა არა აქვს, ეს მეტყველების გზით მოხდება, თუ რაიმე სხვა გზით.

ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია გულისხმობს კომუნიკაციის ყველა ტიპს, რომელიც ცვლის, აუმჯობესებს, ან ემატება მეტყველებას. ალტერნატიული კომუნიკაცია მეტყველებისგან განსხვავებული კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმაა, უშუალო კომუნიკაციის დასამყარებლად. ჟესტი, ნიშნები, გრაფიკა, საგნები, მორზეს კოდი, ნაწერი, დასურათებული დღის განრიგი ბაღში – კომუნიკაციის ყველა ეს ფორმა შეიძლება იყოს გამოყენებული ადამიანის მიერ/ადამიანთან, რომელსაც არ შეუძლია მეტყველება.

თანამედროვე კვლევები (Ferreira, Ponte & Azevedo, 2000) **ადასტურებს, რომ ბავშვს, რომელსაც უჭირს ენობრივი უნარების განვითარება და კომუნიკაციის საშუალებად მეტყველების გამოყენება, თუ დროულად შევთავაზებთ ალტერნატიულ ხერხებს კომუნიკაციის დასამყარებლად, ეს მათ ძლიერ სტიმულს აძლევს კოგნიტური, კომუნიკაციური, ლინგვისტური, ემოციური და ქცევითი რეგულაციების გასავითარებლად.**

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ბავშვები უფროსებთან კომუნიკაციას ამყარებენ თავიანთი ემოციების გასაზიარებლად, ინფორმაციის მოსაპოვებლად და გასაზიარებლად, სურვილების გამოსათქმელად და არა იმიტომ, რომ უფროსმა ისინი შეამოწმოს, შეაფასოს და ნიშანი დაუწეროს.

ნებისმიერი ბავშვის კომუნიკაციური, ენობრივი და სამეტყველო უნარების განვითარებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რა გარემოში იზრდება ბავშვი და როგორი კომუნიკაციური პარტნიორები არიან ის უფროსები, რომლებიც მასთან ყოველდღიურად ურთიერთობენ. გამუდმებით „ტესტირების რეჟიმში“ ყოფნამ და ნეგატიურმა უკუკავშირმა, ბავშვებს, შესაძლოა, კომუნიკაციის დამყარების ხალისი დააკარგვინოს.

დირექტიული სტილის მქონე კომუნიკაციური პარტნიორები ბავშვს ბევრ „გამოსაცდელ“ შეკითხვას უსვამენ და ხშირად ეუბნებიან მას, რა თქვას და რა გააკეთოს. ისინი ფიქრობენ, რომ ბავშვს წარმატებისათვის ძალიან ბევრი დახმარება სჭირდება და ბავშვებისგან ყოველთვის სწორ პასუხს ელოდებიან.

როგორ რეაგირებს ბავშვი დირექტიული სტილის გამოყენებაზე?

- უკეთეს შემთხვევაში, პასუხობს შეკითხვებს და ასრულებს ბრძანებებს; სწავლობს ახალ პრაქტიკულ უნარებს;
- ელოდება, რომ სხვამ წამოიწყოს საუბარი ან რაიმე აქტივობა;
- გრძნობს ზეწოლას, რომ უნდა თქვას ან გააკეთოს რაიმე;
- იძლევა რამდენიმე სიტყვიან პასუხებს;
- იმეორებს იმას, რაც ესმის, იმის ნაცვლად, რომ თავად მოიფიქროს პასუხი.

ბავშვის საჭიროებებზე ადეკვატურად მორეაგირე პარტნიორი აკვირდება ბავშვის რეაქციებსა და მოლოდინებს და მას საკმარის დროსა და საშუალებას აძლევს, რომ ინ-

ტერაქციას გაუძღვეს. ის ბავშვს ყოველთვის აძლევს საშუალებას აირჩიოს აქტივობა ან სასაუბრო თემა და ყოველთვის მზადაა, უპასუხოს ბავშვის ინიციატივას. ის კარგადაა შეწყობილი ბავშვის უნარებსა და საჭიროებებთან.

როგორ რეაგირებს ბავშვი **ადეკვატურად მორეაგირე სტილის** პარტნიორზე?

- თავს თავდაჯერებულად გრძნობს ;
- უფრო ხშირად თავად იწყებს საუბარს და აქტივობას;
- კამათისა და გაჯიუტების შემთხვევები ნაკლებია;
- მეტად სოციალურია;
- იყენებს უფრო გრძელ და რთულ წინადადებებს;
- საუბრობს მეტს საკუთარი იდეების შესახებ (ელაინ ვაიცმანი 2011).

ბავშვები სამყაროს **სენსორული არხების** – მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოსა და შეხების გზით შეიმეცნებენ და ამგვარი შემეცნების შედეგად იუმჯობესებენ კომუნიკაციურ და ენობრივ უნარებს. სენსორულ შეგრძნებებს მიეკუთვნება მოძრაობისა და წონასწორობის შეგრძნებებიც. ზოგიერთ ბავშვს განსაკუთარებული სენსორული საჭიროებები აქვთ, ისინი შესაძლოა ქვემგრძნობიარეები ან ზემგრძნობიარეები იყვნენ მხედველობის, შეხების, გემოს, სუნის, სმენისა და მოძრაობის მიმართ. იმისთვის, რომ ბავშვმა შეძლოს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება(სწავლა, ლაპარაკი და თამაში), საჭიროა დავეხმაროთ ისეთი პრობლემის გადაჭრაში, როგორიცაა „სენსორული გადაწვა."

„სენსორული გადაწვა" ხდება, როდესაც ტვინი ვერ ახერხებს ყველა შემომავალი შეგრძნების სორტირებას.

ზემგრძნობიარე შეიძლება ბავშვი რაიმე შეგრძნების მიმართ იყოს, ანუ ამ შეგრძნების მხოლოდ პატარა დოზაც საკმარისია, რომ მან დისკომფორტი იგრძნოს. ამ დროს ის შეიძლება თავს არიდებდეს ან გამოხატავდეს შიშს ან შფოთს ამ შეგრძნების მიმართ.

ზოგიერთი შეგრძნების მიმართი კი შეიძლება ქვემგრძნობიარე იყოს, ანუ მას სჭირდება ძალიან ბევრი სტიმული, რომ მასზე რეაგირება მოახდინოს. ამ დროს ბავშვი დაუინტერესებელი ჩანს, ვერ გაქცევთ ყურადღებას; როდესაც ბევრი გამაღიზიანებელია, ის ენერგიულად და უკეთესად გრძნობს თავს, ამიტომ ხშირად ეძებს გამღიზიანებლებს, რომ კარგად იგრძნოს თავი.

ბავშვი შეიძლება ერთდროულად ზემგრძნობიარე და ქვემგრძნობიარე იყოს სხვადასხვა შეგრძნების მიმართ.

კარგი კომუნიკაციური პარტნიორი ყოველთვის აკვირდება ბავშვის სენსორულ აღქმას და მის საჭიროებებზე ადეკვატურად რეაგირებს:

მოძრაობა/წონასწორობა

ბავში ქვემგრძნობიარეა მოძრაობის მიმართ, თუ ის ავლენს მოძრაობის განსაკუთრებულ საჭიროებას...

- ხშირად დარბის, უყვარს ტრიალი, ბზრიალი
- ავეჯზე ძრომიალი
- სკამზე ჯდომისას ვერ ისვენებს

ასეთ დროს:

- ბავშვისათვის ახალი ცნებების, სიტყვების, ქცევის სწავლებას უკეთ შეძლებთ მოძრავი თამაშების დროს – დაჭერობანა და გასწრობანა. ასეთ ბავშვებს მეტი

დრო უნდა მივცეთ, ითამაშონ ეზოს აღჭურვილობით, როგორიცაა საქანელა, სასრიალო, აიწონა-დაიწონა და ასე ვასწავლოთ რიგის დაცვა, გაზიარება და სხვა

ბავშვი ზემგრძნობიარეა მოძრაობის მიმართ, თუ მოძრაობა მისთვის არაკომფორტულია...

- ეშინია აიწონაზე, საქანელაზე ან სასრიალოზე დაჯდომა
- უყვარს ძირს გაწოლა
- არ მოსწონს მოძრაობითი თამაშები

ასეთ დროს:

- სცადეთ, ბავშვს შესთავაზოთ სამაგიდო აქტივობები: ლოტო, აწყობა, დაწებება, გამოჭრა და სხვა, რომლის დროსაც ის მშვიდად იჯდება მაგიდასთან. დარწმუნდით, რომ ჯდომისას ბავშვის ფეხები/ტერფები იატაკს სრულად ეხება.

შეხება

ბავშვი ქვემგრძნობიარეა შეხებაზე, თუ...

- უყვარს მაგრად ჩახუტება
- დაჟინებით ითხოვს, ეცვას მოტკეცილი ტანსაცმელი
- მოსწონს ხრაშუნა, საღეჭი საკვები
- ეყრდნობა სხვა ადამიანებს
- ღეჭავს თავის ტანსაცმელს
- მოსწონს ძრომიალი ავეჯსა და ადამიანებზე

ასეთ დროს:

- ხშირად ჩამოართვით ხელი მაგრად და დღეში მრავალჯერ გაუმეორეთ: დაარტყი ხელი!;
- წაუკითხეთ: „შეეხე-და-შეიგრძენი“ წიგნები;
- მხოლოდ შეხებით გამოაცნობინეთ, რა ნივთია ტომარაში (თვალდახუჭული იღებს ტომრიდან ნივთებს);
- ითამაშეთ ისეთი თამაშები, როგორიცაა გათვლები ან ხელის ხელზე დადება, რომელიც ხელის ხელზე დარტყმას მოითხოვს;
- მიეცით საშუალება, დღეში რამდენჯერმე დაარტყას კრივის სავარჯიშო ტომარას;
- მოიმარაგე ხელის სათამაშოები, როგორიცაა „ზღარბი“ ბურთები, პატარა მანქანები ან ფიგურები.

ბავშვი ზემგრძნობიარეა შეხებაზე, თუ...

- არ მოსწონს ზოგიერთი ტანსაცმლის შეხება/ტექსტურა
- არ მოსწონს ქუდის და ხელთათმანის ჩაცმა
- არ მოსწონს თმის დაბანა ან შეჭრა
- არ მოსწონს სხვებთან ახლოს ჯდომა ან დგომა
- არ მოსწონს თითების საღებავით ხატვა ან ძერწვა

ასეთ დროს:

- შეურჩიეთ განიერი ტანისამოსი და თითებიანი ხელთათმანის მაგივრად შესთავაზეთ ერთიანი ხელთათმანი.
- მიეცით საშუალება, ხატოს ფუნჯით ან ძერწოს ხელსაწყოთი თუ არ უნდა რომ მას შეეხოს.

სმენა

ბავშვი ქვემგრძნობიარეა ხმაზე, თუ...

- ყოველთვის არ პასუხობს სახელის დაძახებაზე
- თითქოს არ ესმის, რას ამბობენ სხვა ადამიანები
- მოსწონს კონკრეტული მუსიკა და ხმები
- შუა საუბრიდან ვარდება

ასეთ დროს:

- ისაუბრეთ ხმამაღლა და ცვალეთ ინტონაცია, რომ დაეხმაროთ ბავშვს, ყურადღება მიაქციოს ნათქვამს
- სცადეთ, იმღერეთ ბავშვის ყურადღების მისაქცევად

ბავშვი ზემგრძნობიარეა ხმაურზე, თუ....

- ღიზიანდება ხმაურიან ოთახში ყოფნისას
- ესმის ყველაზე სუსტი ხმები
- უნდა რომ ჩუმად ვისაუბროთ (განსაკუთრებით თუ გაღიზიანებულია)
- არ უნდა რომ ბევრი ვილაპარაკოთ (განსაკუთრებით თუ გაღიზიანებულია)
- იფარებს ხელებს, როდესაც ესმის კონკრეტული ტიპის ხმა

ასეთ დროს:

- ისაუბრეთ რბილად და შეინარჩუნეთ სიმშვიდე
- ისაუბრეთ მოკლე და მარტივი წინადადებების გამოყენებით და არ თქვათ ბევრი რამ ერთბაშად
- იქონიეთ ყურის სარჭები ხმაურიანი ოთახებისთვის

მხედველობა

ბავშვი ქვემგრძნობიარეა იმის მიმართ, რასაც ხედავს, თუ...

- მოსწონს ნივთების ჩამწკრივება
- მოსწონს მოძრავი ნივთების ყურება (მაგალითად ბზრიალა კარები, ფენი)
- უყვარს თავისი სათამაშოების ყურება, როდესაც თვითონ ძირს წევს

ასეთ დროს:

- „ინადირეთ“ დამალულ სათამაშოებზე ფანრით

ბავშვი ზემგრძნობიარეა იმის მიმართ, რასაც ხედავს, თუ...

- ცდილობს ჩააბნელოს ოთახი

- არ მოსწონს წიგნებში ნაბეჭდის ყურება
- თვალებზე იფარებს მზეში

ასეთ დროს:

- გქონდეთ მომარაგებული მზის სათვალეები
- დაასუსტეთ შუქი

5. ენა, ენობრივი განვითარება და განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები

ენა შეთანხმებული სიმბოლოების კომპლექსური და ცვალებადი სისტემაა, რომელიც სხვადასხვა მოდალობებში (მეტყველება, წერა, კითხვა და სხვა) გამოიყენება კომუნიკაციისა და ჩვენი აზრების ორგანიზებისათვის. „ყველა ბავშვი პრეპროგრამირებულია ენის დასაუფლებლად“ (ნოამ ჩომსკი 1978), ოღონდ ამ თანდაყოლილი ლინგვისტური უნარის განვითარებასა და გამდიდრებას, მასტიმულირებელი გარემო და კარგი კომუნიკაციური პარტნიორები სჭირდება. ჩვენ ვიბადებით შინაგანი მექანიზმით, რომელიც, თუ მდიდარ ლინგვისტურ გარემოში ჩაშენდება, შესაძლებლობას გვაძლევს დავეუფლოთ და გამოვიყენოთ ენის წესები. ენის შესწავლა და განვითარება ბევრად უფრო მეტია, ვიდრე სიტყვების სწავლა, ყველა ბგერის გამოთქმის შესაძლებლობა, ან ენის წესების და გრამატიკის გამოყენება; ეს არის კომპლექსური და გამაოცებელი პროცესი, როდესაც ბავშვი, სხვებთან ინტერაქციის გზით, საკუთარი გარემოს (საზოგადოების) ლინგვისტურ სისტემას ბუნებრივად და ინტუიტიურად ხელახლა აშენებს. „ (სიმ-სიმ, სილვა, ნუნსი, 2008)

ბავშვებში რეცეპტული ენის განვითარება (ენა, რომელიც გესმის, რომელსაც აღიქვავ) უფრო ადრე იწყება, ვიდრე ექსპრესულის (ენა, რომელსაც გამოხატავ).

ენის შემადგენელი კომპონენტები ფორმის, შინაარსისა და ფუნქციის მიხედვით ასე იყოფა:

ენის კომპონენტები	
ფორმა	**სინტაქსი**
	მორფოლოგია
	ფონოლოგია
შინაარსი	**სემანტიკა**
ფუნქცია	**პრაგმატიკა**

ფონოლოგიური განვითარება – ფონოლოგია ენის ბგერათა სისტემა, რომელიც გარკვეული წესების კომბინირებისას სიტყვებს ქმნის.

ახალშობილი ტირის და გამოსცემს გაურკვეველ ხმებს

2-4 თვე – „ღუღუნებს“ გუტურალური (ხორხისმიერი) ბგერებით, გამოსცემს ხმამაღალ ხმებს და იღიმის.

4-6 თვე – ამბობს „აღუს“, იცინის, ვოკალიზებს, ცვლის ინტონაციებს

6-8 თვე – „მამამა“, „დადადადა“

8-12 თვე – დედა - დედე ან ფსევდო - სიტყვები

12-18 თვე – ყველა ხმოვანი, მარცვლები, სიტყვები, თანხმოვანთა უმრავლესობა

2-3 წლის – კვეცავს მარცვლებს ან ფონემებს, ანაცვლებს ბგერებს მარტივად წარმოსათქმელად, იყენებს წესების 50%-ს

3-4 წლის – კვეცავს/ყლაპავს ბგერებს რთულ სიტყვებში, იყენებს წესების 75%-ს

4-5 წლის – უფრო ხშირად ხმარობს გრძელ სიტყვებს, იყენებს წესების 100%-ს

5-6 წლის – შესაძლოა ჩაანაცვლოს ბგერები რ-ლ, შ-ს

6 წლის ზევით – აღქმადი და გასაგები მეტყველება; შესაძლოა არსებობდეს სირთულე უცხო სიტყვების წარმოთქმისას

ფონოლოგიური განვითარების ხელშესაწყობად

ასწავლეთ ხმამიბაძვები, აღმოაჩინონ და გაასწორონ ფონოლოგიური შეცდომები;

ათამაშეთ ბგერებითა და მარცვლებით, მარცველების შესაბამისი რაოდენობის ტაშის შემოკვრა, დაკაკუნება

ავარჯიშეთ სიტყვის ბგერათა ანალიზსა და სინთეზზე

ასწავლეთ განმეორებადი რითმის ლექსები, ლექსები მსგავსი ჟღერადობისა და

განსხვავებული შინაარსის მქონე სიტყვებით, აჩვენეთ ამ სიტყვების შესაბამისი სურათები

„დაუხატეთ“ მოკლე საბავშვო სიმღერები და ლექსები, რათა ვიზუალურად აღიქვას რამდენი სიტყვაა თითო სტრიქონში, რომელია ერთმენთის მსგავსი სიტყვები და ა.შ.

მოახდინეთ მარცვლების ვიზუალიზაცია – დახატეთ საგანი და მიუწერეთ იმდენი რგოლი, რამდენი მარცვალიცაა ამ სიტყვაში

დააწყვილებინეთ სურათები, რომელზეც მსგავსი ჟღერადობის საგნებია გამოხატული

გააკეთეთ „სიტყვების ხალიჩები“, „სიტყვების კლასობანა“ და მიეცით ბავშვს საშუალება, იმდენ უჯრედზე გადახტეს, რამდენი მარცვალი ან ბგერაცაა სიტყვაში

სემანტიკა დაკავშირებულია სიტყვების, წინადადებების, მეტყველებისა და ლექსიკონის შინაარსთან, რომელსაც ბავშვი თავისი განვითარების მანძილზე ეუფლება.

ასაკი	გაგება	გამოხატვა
9-12 თ	≈ 10 სიტყვა	≈ 1 სიტყვა
14-15 თ	≈ 50 სიტყვა	≈ 10 სიტყვა
17-19 თ	≈ 100 სიტყვა	≈ 50 სიტყვა
2 წ	≈ 200 - 300 სიტყვა	≈ 100 სიტყვა
3 წ	≈ 1000 სიტყვა	≈ 500 სიტყვა
5-7 წ	≈ 10000 სიტყვა	≈ 5000 სიტყვა

ასაკი	კატეგორია	შინაარსი
12-18 თ	არსებითი სახელები; ზმნები	ადამიანები, საგნები და ყოველდღიური მოქმედებები სხეულის ნაწილები; მისალმება-დამშვიდობება
18-24 თ	ემატება ზედსართავი სახელები; ზმნიზედა	რუტინული საგნები; სხეულის ნაწილები
2-3 წ	ლექსიკონის გამრავალფეროვნება; მხოლობითი-მრავლობითი რიცხვი;	ყოველდღიური გამონათქვამები; დროის და სივრცის აღქმის გაუმჯობე სებული გამოხატვა
3-4 წ	პირის და კუთვნილებითი ნაცვალსახელები; წინდებულები; კავშირები	ატრიბუციები და მახასიათებლები; ვერბალურ-კოგნიტური განაცხადები; სემანტიკური კატეგორიზაცია

ასაკი	კატეგორია	შინაარსი
4-5 წ	რომ და სხვა კავშირები; არაწესიერი მრავლობითი და ზმნის ფორმები	ცნობს ასოებს, რიცხვებს; დროისა და სივრცის აღმნიშვნელ სიტყვებს; ოპოზიტები; სინონიმები
5-7წ	გრძელდება ლექსიკონის გამრავალფეროვნება; დროის და სივრცის აღმნიშვნელი კავშირები, ზმნიზედები, მრავალფეროვანი ზედსართავები…	რუტინული ფუნქციური სიტყვები; სპეციფიური თემები (ფეხბურთი), აბსტრაქტული თემები (ქორწილი, სიკვდილი)

სემანტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი ასაკის შესაბამისი აქტივობები, როგორიცაა:

საუბარი რუტინაზე და ყოველდღიური ამბების მოყოლა.

გაცვალეთ ინფორმაცია ძალდატანების გარეშე, აჩვენეთ, რომ დაინტერესებული ხართ მისი მონათხრობით.

წიგნების კითხვა და თვალიერება.

გახსოვდეთ, რომ წიგნის კითხვა ორმხრივად სახალისო და სასიამოვნო პროცესი უნდა იყოს და არ უნდა დაემსგავსოს „გამოცდას“; მიეცით ბავშვს საშუალება შეგაჩეროთ, დაგაბრუნოთ უკან, დიდხანს გაგაჩეროთ ერთ გვერდზე, გადახტეს მისთვის საინტერესო გვერდზე და ა.შ. წიგნის კითხვისას, მიჰყევით ბავშვის სურვილებს, აჰყევით კომუნიკაციაში და გაამდიდრეთ ლექსიკა.

თემატური დღეების/კვირების მოწყობა.

მაგალითად ფერების, ოპოზიტების, ზედსართავების, ზმნიზედების და ა.შ. შესასწავლად. მნიშვნელოვანია, რომ შესწავლა ხდებოდეს ბუნებრივ გარემოში, მოდელირების, ხშირი გამეორებისა და პოზიტიური წახალისების გზით

სურათების დაწყვილება და დახარისხება ატრიბუციის მიხედვით; ლოტოები და სამაგიდო თამაშები

მორფოლოგია აღწერს, როგორ ფორმირდება სიტყვები (მორფემები) შეთანხმებული გრამატიკული წესების ჩარჩოებში. **სინტაქსი** წესების ერთობლიობაა, რომელიც აწესებს, თუ როგორ უნდა უკავშირდებოდეს სიტყვები ერთმანეთს წინადადებაში.

მორფო- სინტაქსური განვითარება

ასაკი	უნარები
12-18 თ	მარტივი ფრაზეოლოგიური გამოთქმები
18-24 თ	ტელეგრაფული მეტყველება; ზმნიზედის,ზმნისა და არსებითი სახელის გამოყენება.
2-3 წ	2-3 სიტყვიანი წინადადებები; ზმნიზედა, ნაწარმოები ზმნების და არსებითი სახელეების კომბინირება; (+/-) ნიშნით სიტყვების დაკავშირება; რიცხვითი შეთანხმებები(+/-) ; უარყოფითი, მტკიცებულებითი და ბრძანებითი წინადადებები; ადამიანებთან და საგნებთან დაკავშირებული **ვინ და რა** კითხვები.
3-4 წ	3-4 სიტყვიანი წინადადებები; თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებების საწყისი; **სად**, **როგორ** კითხვები; ნაცვალსახელები, გრამატიკული წესების გენერალიზება.

ასაკი	უნარები
4-5 წ	4-5 სიტყვიანი წინადადებები ქვეწყობილი და თანწყობილი წინადადებები ზმნის ფორმის უღლებები მტკიცებულებითი, უარყოფითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები არაწესიერი ფორმების გამოყენება
5-7წ	გრძელი და რთული წინადადებები, დივერსიფიცირებული ენა, გრამატიკული წესების დაცვა

მორფო- სინტაქსური განვითარება

სპეციფიურ ლინგვისტურ თამაშზე დაფუძნებული აქტივობები, სადაც ხშირად უნდა გავცეთ პასუხები კითხვებზე: ვინ გააკეთა,? რით გააკეთა? სად გააკეთა? რა გამოიყენა? ვისთან მივიდა? რა დასჭირდა, რატომ? და ა.შ.

ყოველდღიურობასთან დაკავშირებული თემატური წიგნების კითხვა (მაგალითად „ტოპო-ტიპის“ სერია) და მსჯელობა.

პრაგმატული/ფუნქციური ენის განვითარება ბავშვის ზოგადი განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციისათვის.

პრაგმატული ენის განვითარების საფეხურები:

ახალშობილი – ინტერესი სახის გამომეტყველების, ხმისა და ბგერების მიმართ

1-4 თვე – საპასუხო ღიმილი; სხვისი სახის ძებნა

4-6 თვე – პასუხობს ნაცნობებსა და უცნობებს; იმეორებს ბგერებს გაუცნობიერებლად; ზეინტერპრეტაცია.

6-9 თვე – ხვდება, რომ ვიღაც უცნობია; ყურადღებას აქცევს მუსიკას; შეუძლია ყურადღების გადანაწილება საგანსა და ადამიანზე.

9-12 თვე – ხმოვანი თამაშები (მაგ: ჭიტა); ყურადღების გადანაწილება; მოლოდინის შეგრძნება (მაგ: ბანაობის დრო მოვიდა)

12-18 თვე – კომუნიკაციაში შემოდის თვალის კონტაქტით, მეტყველებითა და ექოლალიით; იღიმის; იყენებს ერთსიტყვიან ფრაზებს.

18-24 თვე – კითხულობს ინფორმაციას; პასუხობს კითხვებს; იცვლის ინტონაციას; იწყებს სიმბოლურ თამაშს

2-3 წელი – ზრდილობიანი ფრაზები; ითხოვს დახმარებას; ითხოვს ახსნას/განმარტებას.

3-5 წელი – უთანხმებს თამაშის წესებს; არაპირდაპირი მოთხოვნები; წარმოსახვითი თამაშები; იწყებს იდიომატური გამონათქვამების გაგებას; გამოხატავს გრძნობებს; სვამს კითხვებს ამბებთან დაკავშირებით; ინარჩუნებს დიალოგის თემას; პასუხობს შეკითხვებს.

5-7 წელი – თემატიკას უკავშირებს კონტექსტს; იუმორის მარტივი გრძნობა; სხვისი მეტყველების „შეცდომების“ გააზრება.

7 წლის ზევით – დიალოგის უნარი: სასაუბრო თემის წამოწყება, შენარჩუნება და თემის შეცვლა, რიგითობის დაცვა, ჟესტებისა და სახის მიმიკის გამოყენება, ინტონაციის ცვლა და სხვისი აზრის პატივისცემა დიალოგისას.

პრაგმატიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, ბავშვებში ხელი შევუწყოთ ისეთ თამაშებსა და აქტივობებს, რომელიც დაკავშირებულია რიგის დაცვასთან - „ჩემი ჯერია“, „შენი ჯერია“, დრამატული და როლური თამაშები და მსჯელობები დასკვნის გამოსატანად

6. ექსპრესიული ენის/მეტყველების სტიმულირება

ყველა ბავშვი სწავლობს ენას.

მათი ენისა და მეტყველების განვითარების ნაწილი <u>თანდაყოლილი</u> პროცესია.

ნაწილი კი, მათ გარშემო მყოფი ადამიანებისგან, მოდელირების გზით <u>შეისწავლება</u>.

მშობლები თავიანთი შვილებისათვის ენისა და მეტყველების <u>მთავარი მოდელები</u> არიან.

ყოველთვის იძლეოდე კომუნიკაციის მაგალითს/მოდელს, ეს ნიშნავს, რომ <u>შენ</u>:

- არ მეტყველებ სწრაფად
- ლაპარაკობ გარკვევით
- იყენებ მოკლე წინადადებებს
- ბავშვებისათვის შესაბამის ლექსიკას
- იმეორებ და განმარტავ უფრო ხშირად, ვიდრე ამას სხვასთან საუბრისას გააკეთებდი

მოდელირების/მაგალითის მიცემის ბევრი გზა არსებობს, ზოგი ეფექტურია, ზოგი კი არაეფექტური და შესაძლოა ბავშვის მეტყველების სურვილი შეაფერხოს.

გახსოვდეთ, ბავშვები კომუნიკაციას ამყარებენ იმისათვის, რომ 1) რაიმე მიიღონ ან რაიმე უარყონ, 2) გარე სამყარო შეისწავლონ და 2) სხვებთან ურთიერთობის, ინფორმაციისა და ემოციების გაცვლის საშუალება ჰქონდეთ. ბავშვები კომუნიკაციაში არ შედიან იმისათვის, რომ მათ შეცდომებზე მიუთითონ და შეცდომები გაუსწორონ.

ქვემოთ მოყვანილია არაეფექტური მოდელირების რამდენიმე მაგალითი:

ბ: სავი ფანქარი მომაწოდე.
უ: სავი ფანქარი კი არა, შავი ფანქარი.
რა გაიგონა ბავშვმა?
„სავი“ მან გაიგონა ორჯერ, „შავი“ – ერთხელ.
უფროსმა გაწყვიტა დიალოგი!

ბ: სავი ფანქარი მომაწოდე.
უ: სავი ფანქარი არა. სავი ფანქარი აღარ თქვა. დაიმახსოვრე, სწორი ფორმაა შავი ფანქარი.
ბავშვი აღარ გისმენთ. *ბავშვმა „სავი ფანქარი“სამჯერ გაიგონა, „შავი ფანქარი“ – ერთხელ, თუ საერთოდ გისმენდათ.*

ბ: გოგო ფეიტაზე უკრავს?
უ: ფ---ლ---ეიტა იგულისხმე? ფ---ლ---ეიტა უნდა თქვა ხოლმე
ბ: [ფიქრობს] ხო... ხო...

მოდელირების ეს გადაჭარბებული ფორმა არ არის რეკომენდირებული. *იგი ამახინჯებს ბგერებს, ასე რომ, ბავშვი ვერ იგებს სიტყვას.*

ბ: ხალხები მოვიდა.
უ: ხალხები მოვიდა? როგორ უნდა გეთქვა?
ბ: (ფიქრობს) ااااა?
ამ მაგალითში მოდელირება საერთოდ არ ხდება

ბ: სავი ფანქარი მინდა თუ სეიძლება.
უ: როგორი ფანქარი გინდა თუ სეიძლება?
მაგალითის მიცემა საერთოდ არ მომხდარა. *დაცინვით ბავშვი კარგავს თვითრწმენას და კომუნიკაციის სურვილს.*

სწორი დასახელება მოდელირების ბუნებრივი ფორმაა:

ბ: სავი ფანქარი მომაწოდე.
უ: აიღე შავი ფანქარი.

გახსოვდეთ, ამგვარი სტრატეგია კარგია, როდესაც ბავშვის ენა ტიპიურად ვითარდება, მაგრამ არ არის საკმარისი, როდესაც ბავშვს მეტყველების სირთულეები აქვს.

ეფექტურ დიალოგზე დაფუძნებული მოდელირება

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები წარმოადგენს მოდელირების ეფექტურ გზებს, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ენისა და მეტყველების სირთულეების მქონე ბავშვებთან:

ბ: რა სათაცილო ლეტვია.
უ: მეც მომწონს ეს სასაცილო ლეკვი. ძალიან საყვარელი სასაცილო ლეკვია. სასაცილო ლეკვი. ხომ არ იცი, რა ქვია ამ სასაცილო ლეკვს?

ბ: თამომიღე ტაქტორი!
უ: რა ჩამოგიღო? ტრაქტორი ჩამოგიღო? კარგი. მივწვდები და ჩამოგიღებ. უუფ, აი, ტრაქტორი ჩამოგიღე, რა დიდი ტრაქტორია!

1. დასახელება

დაასახელეთ ყოველდღიური საგნები და მოქმედებები ბავშვის სიტყვათა მარაგის გასაზრდელად. არ არის საჭირო, ბავშვმა თქვენი ნათქვამი გაიმეოროს, თუმცა თქვენ შეგიძლიათ შეაქოთ, თუ ამას სპონტანურად გააკეთებს. (საკმარისია, რომ მათ დასახელებები ესმით და მათ შესაბამის საგნებსა და მოქმედებებს უკავშირებენ. გამოხატვამ-

დე გაგებაა).

ბავშვებთან, ვისაც მეტი ლექსიკური მარაგი აქვთ, უკეთესია საგნების მახასიათებლები დაასახელოთ: 1) საგნის ზომა, ფორმა, ფერი, რაოდენობა, მასალა 2) მოქმედების აღწერა – ჩქარა, მხიარულად, მარტივად, ხმამაღლა 3) ადგილმდებაროების მინიშნება -შიგნით/გარეთ, ზევით/ქვევით, უკან/წინ, შუაში.

2. მოდელირება

გავს დასახელებას. უფროსი იყენებს მოკლე ფრაზებსა და წინადადებებს იმის აღსაწერად, რასაც ბავშვი **იმ წუთას** აკეთებს. თქვენ შესაძლოა სურვილი გაგიჩნდეთ, ილაპარაკოთ რაც ყველაზე საინტერესოდ და საგანმანათლებლოდ გეჩვენებათ, მაგრამ მნიშვნელოვანია დააკვირდეთ ბავშვს და დაინახოთ რაზეა ის **ფოკუსირებული**.

მაგალითად, თქვენ შესაძლოა მას უყიდეთ ახალი დიდი სათამაშო, რომელიც ძალიან სასარგებლოა ფერებისა და ფორმების სასწავლებლად და საგნების დასასახელებლად. ბავშვი ხსნის საჩუქარს და თამაშობს იმ ქაღალდით, რაშიც საჩუქარია გახვეული. იმის მაგივრად, რომ ბავშვის ყურადღების სათამაშოზე გადატანას ეცადოთ, ისაუბრეთ იმაზე, რასაც ბავშვი აკეთებს ქაღალდით. მაგალითად, „ეს ქაღალდია", „შენ მას ჭმუჭნი", „ნახე, როგორი სქელია", „ყავისფერი ქაღალდი," „თავზე დაიხურე? ქუდივითაა". ამგვარად, თქვენ იყენებთ მის ფოკუსირებულ ყურადღებას და აძლევთ მას საშუალებას, დაუკავშიროს შესაბამისი სიტყვები იმას, რასაც ხედავს და აკეთებს.

დარწმუნდით, რომ ბავშვს მისი ენობრივი განვითარების დონის შესაბამისად (ან ოდნავ უფრო ზევით) ესაუბრებით. მაგალითად, ბავშვს, რომელიც მხოლოდ თითო სიტყვას ამბობს, მხოლოდ 1-3 სიტყვიანი ფრაზებით უნდა მიმართოთ. (არ არის აუცილებელი გრამატიკული ფორმის სიზუსტეზე იზრუნოთ, მაგ. „გოგო ძინავს"). ბავშვს აქვს შესაძლებლობა გაიმეოროს ის, რაც ახლოსაა მისი ექსპრესიული ენის განვითარების დონესთან – რთული და გრძელი წინადადებები დამღლელია და მათი გამეორება შეუძლებელი.

მოდელირების მაგალითებია, როდესაც უფროსი ახმოვანებს იმ ქცევას, რა ქცევასაც ბავშვისგან მოელის.

- საკუთარ თავთან საუბარი: ახმოვანებს იმას, რასაც აკეთებს;
- პარალელური საუბარი: უფროსი ახმოვანებს ბავშვის ქმედებებს;

უ: „ახლა... მე ვდებ კურდღელს ცხენის გვერდით ..."
უ: „ახლა ... შენ მანქანა ხიდზე გადაიყვანე"

3. გამეორება

ხშირად ბავშვები პირველ სიტყვებსა და ფრაზებს გაურკვევლად წარმოთქვამენ. შეცდომების გასწორების ყველაზე ეფექტური და უმტკივნეულო გზაა, სწორი ფორმით გაიმეოროთ ბავშვის მიერ ნათქვამი სიტყვა ან ფრაზა. „უდა ნტალი" – „მინდა წყალი". არ მოსთხოვოთ ბავშვს, გაიმეოროს თქვენს მიერ შესწორებული ფრაზა, თუმცა, თუ უნდა, ცხადია, შეუძლია ასეც მოიქცეს. სწორი ფორმის მოსმენაც აძლევს მას სტიმულს, ნელ-ნელა შეცვალოს თავისი ფრაზეოლოგია და დაუკავშიროს თქვენს მოდელს.

4. გავრცობა

გავრცობა ბავშვის ექსპრესიული ენის დონის განვითარების კარგი საშუალებაა. თქვენ იმეორებთ ბავშვის მიერ ნათქვამ ფრაზას, მაგრამ უმატებთ ერთ ან ორ ელემენტს (თუ მეტს დაამატებთ, ბავშვი ინფორმაციის მიღებას ვერ შეძლებს). მაგალითად, თუ ბავშვი ამბობს, „ვაშლი," როდესაც ვაშლის ჭამა უნდა, თქვენ შეგიძლიათ უთხრათ, „მინდა, ვაშლი", „მომეცი, ვაშლი". ამ ტექნიკის გამოყენებისას ბავშვს ესმის განსხვავება თავის ნათქვამსა და თქვენს ნათქვამს შორის და ნელ-ნელა შეცვლის თავის ფრაზე-

ოლოგიას თქვენთან მიმსგავსებით.

გრამატიკული გავრცობის ნიმუში:

ბ: „ქუდი ჩემი.“
*უ: „**ეს** ქუდი ჩემი**ა**.“*

ძალდაუტანებელი ფორმირების ნიმუშია, როდესაც უფროსი იღებს ბავშვის ნათქვამს, და ძალდაუტანებლად ცდილობს სწორი ფორმების შეთავაზებას:

უ: „ეს ტელევიზორია.“
ბ: „ტევიზორი“
უ: „ხო, ტელევიზორი.“
გამეორება ელემენტის შეცვლით, ნაცვალსახელის შემოყვანა ლექსიკაში:

ბ: „ეს დათოს ფანქარია.“
*უ: „ჰო, ეს **მისი** ფანქარია.“*

ჩაშენება, ბავშვის მეტყველების გასავრცობად:

ბ: „მე მიყვარს მანქანით თამაში.“
უ: „შენ გიყვარს ამ ცისფერი, ორკარიანი მანქანით თამაში.“

ბ: „ბიჭი პურს ჭამს.“
უ: „ბიჭი კარაქიან პურს ჭამს“
ბ: „ბიჭი კარაქიან პურს ჭამს.“
უ: „… კარაქიანს და ყველიანს!“

ლექსიკის გამდიდრება, უცხო ახალი სიტყვების შემოტანა და მოკლედ ახსნა:
უ: „ვეფხვი გარეული ცხოველია!“
ბ: „როგორი?“
უ: „გარეული… ტყეში ცხოვრობს“
უ: „ლომიც გარეული ცხოველია.“
(…)
უ: „გარეული ცხოველები ტყეში ცხოვრობენ.“

5. სიტყვების გავრობა სოციალური ფრაზებით

სხვა გზა, რომ ბავშვი ერთსიტყვიანი ფრაზებიდან მრავალსიტყვიანი ფრაზებისკენ წავიყვანოთ არის სოციალური/ზრდილობიანი ფრაზების სწავლება: „მინდა --- თუ შეიძლება“, „არა, არ მინდა --- მადლობა“.

6. ინტერაქტიური ყოველდღიური ენა
დაეხმარეთ ბავშვს, ჩაერთოს ყოველდღიურ მარტივ დიალოგებში, რომელიც ყოველდღიურობის ნაწილი გახდება. ეს „დიალოგი“ ბავშვის ენობრივი განვითარების დონეს შეუსაბამეთ:

მაგალითად, როდესაც ბავშვი დილას იცვამს, შეგიძლიათ ასეთი მოკლე დიალოგი გამართოთ:

უ: რა ჩავიცვათ პირველი?
ბ: წინდები
უ: რა ჩავიცვათ შემდეგი?
ბ: შარვალი
უ: რა ჩავიცვათ შემდეგი?
ბ: ფეხსაცმელი და ა.შ.

პირველ ეტაპზე, შესაძლოა ნივთების ჩვენება და გამეორება მოგიწიოთ, მაგრამ რუტინა, გამეორებადობა ბავშვს საშუალებას მისცემს, ამ დიალოგში დამოუკიდებლად ჩაერთოს.

ჩარჩოში ჩასმა, უფროსს მიცემული მინიშნებებით ბავშვი სწორი პასუხისკენ მიჰყავს

უ: „როგორი ცხოველია ცხენი?“
ბ: …
უ: „ძაღლი შინაური ცხოველია. კატაც შინაური ცხოველია. ძროხაც შ…“
ბ: „ შინაური ცხოველია“.
უ: „ძალიან კარგი. და ცხენი? როგორი ცხოველია ცხენი?“
ბ: „ცხენი შინაური ცხოველია.“

გახსოვდეთ, ამ ტექნიკების გამოყენებისას, ინტერაქციასა და ჩართულობას რომ მიაღწიოთ, ბავშვის სიმაღლეზე უნდა იყოთ. თუ ბავშვი იატაკზე ზის, თქვენც იატაკზე უნდა იჯდეთ, თუ პატარა მაგიდასთან ზის, იქვე უნდა მიუჯდეთ, რათა თქვენი და ბავშვის თვალები ერთ სიმაღლეზე, ერთ დონეზე იყოს..

7. ენისა და მეტყველების განმავითარებელი აქტივობები

ვინ რა თქვა?

მიზანი – მოუსმინეთ ხმას და შეუსაბამეთ იგი მის წყაროს

საჭირო მასალა – სათამაშო ცხოველები ან ცხოველების სურათები

აქტივობა – ამ აქტივობაში, – ხმისწყარო – სხვადასხვა ცხოველებია; შემდგომში, შესაძლოა, თამაშში გამოიყენოთ ფონემები და ასოები. დაურიგეთ სათამაშო ცხოველები ან ცხოველის სურათები ბავშვებს და იკითხეთ, რომელი ცხოველი ღრიალებს, კნავის, ყეფს... ბავშვი, რომელსაც შესაბამისი სათამაშო ცხოველი ან ცხოველის სურათი ექნება, მაღლა სწევსსურათს ან სათამაშოს და პასუხობს: „ლომი ღრიალებს“ და ა. შ. შეგიძლიათ დაურთოთ ადამიანის სურათი ან სათამაშო და იკითხოთ„,ვინ ლაპარაკობს?“ ბავშვების უმრავლესობისათვის, ეს აქტივობა, საკმაოდ მარტივი იქნება, მაგრამ უფრო რთული აქტივობების დროს, არ მოიწყენენ, რადგან ყველა ბავშვს სჭირდება წარმატებულობის განცდა.

ვარიაცია – აიღეთ საბავშვო წიგნი, სადაც პერსონაჟები ცხოველები იქნება. როცა ტექსტში ცხოველი იქნება ნახსენები, ამ ცხოველის სახელი ჩაანაცვლეთ ხმით, რომელსაც ის გამოსცემს. ბავშვმა ან ბავშვებმა, რომლებსაც შესაბამისი სათამაშო ექნებათ, სურათი/სათამაშო მაღლა უნდა ასწიონ.

თამაში ჩურჩულით

მიზანი – გავავარჯიშოთ ბავშვების უნარი, დაძლიონ ყურადღების გამფანტავი ფაქტორები

აქტივობა – დასვით ბავშვები წრეზე, შემდეგ უჩურჩულეთ რაიმე თქვენ მარცხნივ მყოფ ბავშვს, შემდეგ, ბავშვი უჩურჩულებს გაგონილ სიტყვას მის მარცხნივ მყოფს და ა.შ. ბოლო ბავშვი ამბობს, რა გაიგონა. ეს რთულითამაშია სხვადასხვა მიზეზის გამო. პატარებს, შესაძლოა, სჭირდებათ გავარჯიშება რიგითობის დაცვაში. თავდაპირველად,შეიძლება,რაიმე საგანი გადააწოდონ ერთმანეთს;ვითამაშოთ პატარა ჯგუფში,არა უმეტეს ხუთი ბავშვისა. დაიწყეთ სიტყვით, ბავშვების უნარების განვითარების შესაბამისად, გადადით ფრაზებზე, წინადადებებზე.

ჩურჩულით თქვი შენი სახელი

მიზანი – ხმაურიდან ნაცნობი ხმის გამორჩევა

საჭირო მასალა – თვალების ასახვევი

აქტივობა – რომელიმე ბავშვს, საიდუმლოდ შეუთანხმდით ერთ-ერთი ჯგუფელის სახელზე, და შემდეგ, აუხვიეთ თვალები. დანარჩენი ბავშვები დგებიან წრეში და ერთად, ჩურჩულით იმეორებენ საკუთარ სახელებს.თვალებახვეული ბავშვი გარშემო უვლის წრეს და შერჩეული სახელის გაგონებისას, სახელის პატრონს ეხუტება.

უაზრობანა

მიზანი – განვავითაროთ ბავშვების უნარი, ყურადღება მიაქციონ განსხვავებას, თუ რა ესმით რეალურად, როცა სხვა რამის გაგონებას ელოდნენ

საჭირო მასალა – წიგნები, ნაცნობი ამბებით ან ლექსებით

აქტივობა – დასხით ბავშვები, სთხოვეთ, დახუჭონ თვალები და კონცენტრაცია მოახდინონ იმაზე, რასაც გაიგონებენ. წაუკითხეთ მათთვის ნაცნობი ამბები ან ლექსები, შიგადაშიგ შეცვალეთ სიტყვები, ან მათი განლაგება ისე, რომ უაზრობა გამოვიდეს. ბავშვების მიზანია, ამოიცნონ ცვლილებები. წაახალისეთ, დაასახელონ, თუ რა იყო არასწორი.შეგიძლიათ გამოიყენოთ: სიტყვების შეტრიალება, შეკვეცა, სიტყვების რიგითობის დარღვევა, სიტყვის შემადგენელი ნაწილების გადანაცვლება, მოვლენების თანამიმდევრობის შეცვლა. წლის განმავლობაში, თამაშის ვარიაციებით, ბავშვებს დაეხმარებით სიტყვების გამართვასა და გრამატიკის უკეთესად ათვისებაში.

ხმების გამოცნობა

მიზანი – განსხვავებული ხმების მოსმენა-იდენტიფიცირება

საჭირო მასალა – ჩანაწერები განსხვავებული ხმებით

აქტივობა – გარემო სავსეა განსხვავებული ხმებით. ამ თამაშით, ბავშვები აღმოაჩენენ, რომ მათ შეუძლიათ, გაიგონონ ხმები შენობის გარედან, შიგნიდან და საკუთარი თავიდანაც. თამაშის დაწყებამდე, ისაუბრეთ, როგორ განსხვავდება დახუჭული თვალებით მოსმენა- გახელილი თვალებით მოსმენისაგან.სთხოვეთ ბავშვებს, დასხდნენ და თვალდახუჭულებმა უსმინონ გარემომცველ ხმებს; რამდენიმე წუთის შემდეგ, დაასახელონ ის ხმები, რაც გაიგონეს. ბავშვები, ამგვარად, სწრაფად სწავლობენ აქტიურ მოსმენას. ხმების წყარო, სხვა მრავალთა შორის, შესაძლოა იყოს:

ჩიტები	წვეთები	ხის კენწეროები
სუნთქვა	კონდენციონერი	ყლაპვა
მანქანები	ბუზები	სატვირთოები
საათები	ნაბიჯები	ხმები
ძაღლები	გულისცემა	ქარი

ცვლილება – მრავალფეროვნებისათვის, ითამაშეთ ეს თამაში სხვადასხვა ადგილებში ან გამოიყენეთ ჩანაწერები

მოვუსმინოთ ხმებს

მიზანი – განვავითაროთ მეხსიერება და ყურადღება

საჭირო მასალა – საგნები, რომლებსაც შეუძლიათ გამოსცენ საინტერესო ხმები, მაგ:

ბრახუნი მაგიდაზე/კედელზე/კალთაზე
შებერვა
სასტვენით სტვენა
ცხვირის მოხოცვა
ტაში
ენის წკლაპუნი
ხელჩანთის დაკეტვა
გაფერადების ხმა
ხველა
ქაღალდის დაკუჭვა
დანით დაჭრა
მაკრატლით დაჭრა
სხვადასხვა საგნების დაგდება
თითებით კაკუნი
ვაშლის ჭამა
ქაღალდის დაკეცვა
დაჭედება
ხტუნვა
ხმაურიანი ღეჭვა
უჯრის ან ფანჯრის გაღება
სითხის ჩამოსხმა
ზარის რეკვა
ხელების ფშვნეტა
ფხაჭნა
ფანქრის გათლა
წიგნის უცებ დახურვა
კრეკერების მტვრევა
თითების ტკაცუნი
ბეჭდვა
ქაღალდის მოხევა
თითის წვერებზე სიარული
კომპიუტერის ჩართვა
სიარული
სტვენა
დაფაზე წერა
ფანქრით წერა

აქტივობა – ამ თამაშში, ბავშვები, ჯერ ხმების იდენტიფიცირებას მოახდენენ, დაშემდეგ, ხმების დიფერენცირებას. ორივე ეტაპი ძალიან მნიშვნელოვანია. ბავშვებმა უნდა დახუჭონ თვალები, მოუსმინონ და გამოიცნონ მათთვის ნაცნობი ხმები, როგორიცაა კარის გაჯახუნება, დაცემინება, ან ფორტეპიანოზე კლავიშის აღება. შემდეგ, ერთმანეთის მიყოლებით, მოასმენინეთ ორი ხმა. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ ხმები და დაასახელონ თანამიმდევრობა. ვინაიდან, ამ თამაშით მნიშვნელოვანი უნარის გამომუშავება ხდება, სირთულეებთან ერთად, ყურადღებით ჩაინიშნეთ თითოეული ბავშვის წარმატება და პროგრესი. მნიშვნელოვანია, არ წავახალისოთ წამოძახილები და ვთხოვოთ, ისაუბრონ მაშინ, როცა სთხოვენ.

ვარიაციები – თვალდახუჭულ ბავშვებს სხვადასხვა ხმები მოვასმენინოთ. შემდეგ, ერთი ხმის გამოტოვებით, გაიმეორეთ თანმიმდევრობა; ბავშვებმა უნდა დაასახელონ, რა გამოტოვეთ გამეორებისას.

- თვითონ ბავშვებმა გამოსცენ ხმები.

ამ თამაშით, ბავშვები ადვილად სწავლობენ, რას ნიშნავს პირველი, მეორე, მესამე, შუა და ბოლო.

სად არის ბავშვი?

მიზანი – წავახალისოთ, ყურადღებით მოუსმინონ და მიაგნონ ხმის წყაროს.

აქტივობა – დასხით ბავშვები წრეზე, თვალახვეული ბავშვი ჯდება ცენტრში; ამ

დროს,ერთ-ერთი ბავშვი, ოთახის ნებისმიერი კუთხიდან, რომელიმე ცხოველის ხმას გამოსცემს (მუუ, ავ-ავ, მიაუ). ცენტრში მყოფმა ბავშვმა, უნდა სცადოს, გამოიცნოს,საიდან ისმის ხმა; აღნიშნოს, „ხმის წყარო“ იატაკზე წევს, თუ დგას სკამზე და ა. შ. მას შემდეგ, რაც ბავშვი გამოიცნობს, თუ სად არის „ხმის წყარო“,ახლა ეს უკანასკნელი ჯდება ცენტრში თვალახვეული და ახალი„ხმის წყარო“ ირჩევა წრიდან.

ვარიაცია – ცხოველების ხმები სხვა ხმებით შევცვალოთ.

აბა, თუ იპოვი

მიზანი – ბავშვმა უნდა განივითაროს მოსმენის უნარი და გაზარდოს ყურადღების დრო.

საჭირო მასალა – წიკწიკა საათი

აქტივობა – სთხოვეთ ერთ- ერთ ბავშვს, აიხვიოს თვალები. ამ დროს, დამალეთ წიკწიკა საათი . ბავშვი ახელს თვალებს და ცდილობს,მიყურადებით იპოვოს საათი . დანარჩენი ბავშვები ჩუმად უნდა იყვნენ და ეცადონ, რომ მინიშნებები არ გააკეთონ.

სახელების დამარცვლა, ტაშის დაკვრა

მიზანი – მარცვლების გაცნობა;საკუთარი სახელების დამარცვლასაყვნენ ტაშის დაკვრითა და დათვლით.

აქტივობა – თავდაპირველად, თქვენუკრავთ ტაშს სახელების დამარცლისას.შეარჩიეთ ჯგუფში მყოფი ბავშვების სახელები.სთხოვეთ ბავშვებს, ტაშის კვრა – მარცვლების რაოდენობას შეუსაბამონ, და თან ჰკითხეთ, რამდენი მარცვალი ესმით.

ვარიაციები – მას შემდეგ, რაც საკუთარ სახელებში მარცვლების რაოდენობას განსაზღვრავენ, სთხოვეთ ბავშვს, ნიკაპის ქვეშ, ჰორიზონტალურად მიიდოს ორი თითი, ამგვარად,ყოველი მარცვლის წარმოთქმისას, ისინი ნიკაპის მოძრაობას იგრძნობენ.

აქტივობა – სთხოვეთ ბავშვს, თქვას თავისი სახელი, დანარჩენი ბავშვები – გაიმეორებენ სახელს ხმამაღლა.

სთხოვეთ, დაუკრან ტაში,– ბავშვები იმეორებენ სახელს, უკრავენ ტაშს თითოეული მარცლის წარმოთქმისას.

შემდეგ, ბავშვები ჩურჩულით ამბობენ თითოეულ მარცვალს, თან ტაშს უკრავენ.

ბოლოს, მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებენ.

სიტყვის არსის გაცნობა

მიზანი – გააცნობიერონ, რომ წინადადება შედგება სიტყვებისაგან.

საჭირო მასალა – სიტყვების ბარათები, მარკერები, დაფა, ცარცი.

აქტივობა – შეადგინეთ წინადადება ორი მოკლე სიტყვისგან. შემდეგ აუხსენით ბავშვებს, რომ წინადადება ორი ნაწილისაგან, ორი სიტყვისგან შედგება. თვალსაჩინოებისათვის,გამოიყენეთ სიტყვების ბარათები, ან დაწერეთ დაფაზე სიტყვები და შემოხაზეთ თითოეული სიტყვა მარკერით. შემდეგ შეადგინეთ სამსიტყვიანი წინადადება და ორსიტყვიან წინადადებას ქვეშ მიუწერეთ. განიხილეთ, შეადარეთ სიტყვების რაოდენობა და თითოეული წინადადების სიგრძე. ბავშვთან ერთად გამოიტანეთ დასკვნა, რომ მეორე წინადადება გრძელია იმიტომ, რომ მასში უფრო მეტი

სიტყვაა.

ვარიაციები – წაახალისეთ ბავშვი, გითხრათ, რამდენი სიტყვაა წინადადებაში, სანამ ვიზუალურად აჩვენებთ.

აუხსენით, რომ სიტყვები ერთმანეთისგან პატარა თავისუფალი ადგილით გამოიყოფა.

წინადადებების არსის გაცნობა

მიზანი – წინადადების ცნების გაცნობა

საჭირო მასალა – სურათები (აუცილებელი არ არის)

აქტივობა – აუხსენით, რომ წინადადება პატარა მოთხრობის მსგავსია; როგორც მოთხრობა, წინადადებაც გვიამბობს რაღაცას, ვინმეზე ან რამეზე. შემდეგ, თავად შეადგინეთ წინადადებები. გამოიყენეთ ბავშვების სახელები, მაგალითად, ეკას აქვს ჩანთა. ქეთის აცვია წითელი მაისური. ყოველი წინადადების შემდეგ გაიმეორეთ, რომ ეს არის წინადადება და ბავშვებსაც სთხოვეთ, ერთხმად გაიმეორონ სიტყვა „წინადადება." მეტი სიცხადისთვის, შეგიძლიათ დაუსახელოთ წინადადებები სუბიექტის-ქვემდებარის გარეშე; მაგალითად: „აცვია ვარდისფერი წინდები" „აქვს თაფლისფერი თვალები" და ა. შ. ჰკითხეთ, არის თუ არა ეს წინადადება. აუხსენით, რომ ასეთი ფრაზები წინადადებები არ არის, რადგან წინადადებაში დასახელებული უნდა იყოს ვისზე ან რაზეა საუბარი. შემდეგ შეავსეთ წინადადება: „ანას თაფლისფერი თვალები აქვს" „მარის ვარდისფერი წინდები აცვია."

იმის საჩვენებლად, რომ წინადადებას, ასევე,სჭირდება შემასმენელი, ჰკითხეთ, არის თუ არა შემდეგი ფრაზები წინადადებები: „ბავშვები" „გოგო". აუხსენით, რომ ეს ფრაზები არ შეიძლება იყოს წინდადებები, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით ვისზეა საუბარი, ეს ფრაზები არაფერს გვეუბნება მათ შესახებ.

რამდენიმე მაგალითის განხილვის შემდეგ, სთხოვეთ ბავშვებს წინადადებების მაგალითების მოყვანა.

ვარიაციები – სთხოვეთ ბავშვებს, სურათის მიხედვით შეადგინონ წინადადებები. კომპლექსური სურათების გამოყენების შემთხვევაში, ბევრი წინადადების შედგენაა შესაძლებელი.

სთხოვეთ ბავშვებს, შეაფასონ თქვენი დასახელებული ფრაზები წინადადებებია თუ არა; მაგალითად, ცერა თითის აწევ- დაწევით. წაახალისეთ, თვითონ დაასრულონ წინადადება და ახსნან, ესა თუ ის წინადადება რატომ არის არასრული.

მარცვლების გაგება

მას შემდეგ, რაც ბავშვები გაიგებენ რომ წინადადებები სიტყვებისგან შედგება, ბავშვებს ვუხსნით, რომ სიტყვები, თავის მხრივ, მარცვლებისგან შედგება. ვინაიდან, სიტყვებისგან განსხვავებით, ცალკეულ მარცვლებს მნიშვნელობა არ აქვთ, ბავშვებს მარცვლები შემჩნეული არ ექნებათ.

მარცვლების არსის და ბუნების გასაცნობად, ბავშვებს სთხოვენ ტაში დაუკრან და დათვალონ მარცვლები. მარცვლების ანალიზიდან გადავდივართ სინთეზის ეტაპზე. ამ დროს, ბავშვი დამარცვლილ სიტყვას ამთლიანებს. მაგალითად, ვეუბნებით კა-ლა-თა, ბავშვი ამბობს – „კალათა."

თანმიმდევრობანა

მიზანი – მეხსიერების, ყურადღების, თანმიმდევრული მოქმედებების გავარჯიშება; ვერბალური ინსტრუქციების გაგება და შესრულება.

საჭირო მასალები – სურათები (ბარათები) (სასურველია)

აქტივობა – სთხოვეთ ბავშვს, შეასრულოს მოქმედებების სერია (მაგ: ადგეს, ასწიოს ფეხი, ხტუნვით მივიდეს კართან და თქვას ბუუ...) დანარჩენი ბავშვები აკვირდებიან, ყურადღებით უსმენენ და ცერა თითის აწევ-დაწევით აფასებენ, რამდენად სწორად ასრულებს ბავშვი დავალებას.

თავდაპირველად, ითამაშეთ მარტივი ინსტრუქციებით. იმის და მიხედვით, თუ რა შესაძლებლობები აქვს ბავშვს, ინსტრუქცია უნდა გართულდეს.

ეს თამაში და მისი ვარიაციები ბავშვებს ეხმარება კარგად გააცნობიერონ ისეთი სიტყვების მნიშვნელობა, როგორებიცაა: წინ, შუა, ზევიდან, უკან, ჯერ, შემდეგ, ბოლო...

მაგალითები:

1. მარტივი: „მიდი მაგიდასთან. აიღე წიგნი“
2. საშუალო: „მაგიდის ქვეშ გაძვერი. ადექი. აიღე სამი წიგნი“
3. ძნელი: „დადექი მარჯვენა ფეხზე. გადახტი ოთხჯერ მაგიდისკენ. აიღე ორი წიგნი და, ამავდროულად, გაუღიმე ანას.“

მინიშნება: – დააკვირდით ბავშვებს, განსაზღვრეთ, ვის სჭირდება დამატებითი დახმარება და ვარჯიში.

ვარიაციები

- მეტი ჩართულობისათვის, ბავშვებმა ერთმანეთს დავალებები მისცენ. შესაძლოა, ბავშვები პატარა, 5 ბავშვიან ჯგუფებად დაყოთ.
- უფრო პატარებისათვის, შესაძლოა, სასარგებლო იყოს სიტყვიერ დავალებებთან ერთად, მოქმედებების აღმნიშვნელი სურათების გამოყენება.

8. ბავშვის ენობრივი განვითარების შეფასება

ადრეულ ასაკში მეტყველებისა და ენის განვითარების მხრივ ძალიან დიდი სხვაობაა. გადაწყვეტილების მიღება, სჭირდება თუ არა ბავშვს მეტყველებისა და ენის თერაპია, თანამშრომლობითი პროცესია. რეკომენდაციების თანახმად, პროფესიონალებს, მშობლების შეშფოთებასა და წუხილზე დაყრდნობით, გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ. ისინი სტრუქტურულ შეკითხვებს იყენებენ, რომლებიც ეფუძნება მშობლების ცოდნას თავიანთი შვილების შესახებ და, აგრეთვე, სხვა სპეციალისტების რეკომენდაციებსა და მოსაზრებებს.

ძირითადი უნარ-ჩვევები 3 თვის ასაკში

ძირითადი უნარ-ჩვევები: განვითარების ნიშნები	შეშფოთების მიზეზი	როგორ უნდა მოვიქცეთ
• ბავშვი ავლენს თქვენი სახისადმი ინტერესს. • გიღიმით და შეიძლება დაიწყოს ხითხითი და სიცილი. • ყოფს ენას და ამოძრავებს ტუჩებს, როცა ესაუბრებით. • რეაგირებს ოჯახის წევრების ხმაზე. • ხშირად გამოსცემს ღუღუნის ხმებს, როცა ესაუბრებით. • ტირის გრძნობების გამოსახატავად.	• არ იღიმება • არ მშვიდდება და წყნარდება ხმების გაგონებაზე ან ხელში აყვანის დროს. • ის არ ბრუნდება სინათლისკენ ან ბრახუნის ხმაზე. • აქვს კვების პრობლემები. • არ ღუღუნებს ხმოვანი ბგერებით.	• სმენის შეფასება • დაკავშირება ადრეული განვითარების სპეციალისტთან

ძირითადი უნარ-ჩვევები 6 თვის ასაკში

ძირითადი უნარ-ჩვევები: განვითარების ნიშნები	შეშფოთების მიზეზი	როგორ უნდა მოვიქცეთ
• ხმაურობს თქვენი ყურადღების მისაპყრობად. • იწყებს ბგერებით თამაშს, მაგ. ბაბაბა. • თითქოს იცის, რას ნიშნავს „არა“. • მონაცვლეობით გამოსცემს ბგერებს. • ცნობს ძალიან ახლობელი ადამიანების ხმებს. • ცნობს ძალიან ნაცნობ სიტყვებს, რომელიც მოქმედებასთან ერთად გამოიყენება, მაგ. მაღლა, შენ, მოდი.	• არ ბრუნდება იმის დასანახად, თუ ვინ ლაპარაკობს. • იშვიათად გპასუხობთ როცა ესაუბრებით. • ტირილის გარდა ძალიან ცოტა ხმებს გამოსცემს. • იშვიათად მიადევნებს თვალს მოძრავ საგნებს. • კვების პრობლემები აქვს.	• სმენის შეფასება • დაკავშირება • ადრეული განვითარების სპეციალისტთან

ძირითადი უნარ-ჩვევები 9 თვის ასაკში

ძირითადი უნარ-ჩვევები	შეშფოთების მიზეზი	როგორ უნდა მოვიქცეთ
• წუთიერად ახდენს ყურადღების კონცენტრაციას, მაგრამ შეიძლება, მაინც, ძალიან გაფანტული იყოს. • არჩევს ხმებს, რომელიც ყოველ დღე ესმის. • ადვილად ახდენს თვალებით კონტაქტს. • ცდილობს, ურთიერთობა დაამყაროს მომვლელთან თვალებით კონტაქტისა და ღუღუნის/ტიტინის საშუალებით. • ტიტინის დროს იყენებს სხვადასხვა ხმებს. • რეაგირებს საკუთარი სახელის დაძახებაზე • სხვადასხვა ემოციებს გამოხატავს	• ვერ ცნობს საკუთარ და ოჯახის წევრების სახელებს. • იშვიათად გამოსცემს ხმებს, როცა რაღაცის თქმა უნდა მათთვის. • არ ტიტინებს „მამამამა“, „ბაბაბა“. • არ მოსწონს კომუნიკაციური თამაშები, მაგალითად „ჭიტა“. • არ აინტერესებს ხმაურის გამომცემი სათამაშოები. • კვების პრობლემები აქვს.	• სმენის შეფასება • დაკავშირება ადრეული განვითარების სპეციალისტთან

ძირითადი უნარ-ჩვევები: 12 თვის ასაკში

ძირითადი უნარ-ჩვევები	შეშფოთების მიზეზი	როგორ უნდა მოვიქცეთ
• შეუძლია ჟესტებთან დაკავშირებული მარტივი ინსტრუქციების შესრულება, მაგ. „ხელის დაქნევა დამშვიდობების ნიშნად“. • იგებს მარტივ ნაცნობ სიტყვებს, მაგ. „არა“, „ნახვამდის“. • გამოსცემს ხმებს ყურადღების მისაქცევად ან იმის მისაღებად, რაც სურს. • იწყებს ჟესტების გამოყენებას შეტყობინების გადასაცემად, მაგ., რაიმეზე მიუთითებს ან ხელებს იშვერს.	• არასდროს ტრიალდება ნაცნობი საგნებისაკენ, მაგალითად, თავის ფეხსაცმელებისაკენ, როცა მათ შესახებ ესაუბრებით . • არ ტრიალდება მოსაუბრისკენ, როცა საკუთარი სახელი ესმის. • არ ტიტინებს მელოდიურად. • არასდროს ცდილობს წამოიწყოს მოკლე თამაშები, მაგალითად, „ჭიტა“. • როცა საგანზე მიუთითებთ, იმ მიმართულებით თვალს არ აყოლებს. • კვების პრობლემები აქვს.	• სმენის შეფასება • დაკავშირება ადრეული განვითარების სპეციალისტთან

ძირითადი უნარ-ჩვევები: 15 თვის ასაკში

ძირითადი უნარ-ჩვევები	შეშფოთების მიზეზი	როგორ უნდა მოვიქცეთ
• გვიჩვენებს ზუსტად რაც უნდა, ცდილობს ჟესტების გამოყენებას (შეიძლება რამდენიმე სიტყვაც გამოიყენოს). • დაინტერესდეს წიგნებით და მიუთითოს მათზე. • გამოიყენოს ჟესტები კომუნიკაციისათვის, მაგ., მითითებისათვის. • ძალიან დაჟინებულია კომუნიკაციის დროს - მას რეალურად უნდა, რომ მისი აზრები გაიზიაროთ. • უყურებს ნაცნობ საგნებს ან ადამიანებს, როცა მათი სახელები ესმის.	• არასდროს ტრიალდება, როცა ეხმიანებით. • არ რეაგირებს მარტივ კითხვებზე, მაგ, „სად არის შენი დათუნია?“ • არ იხედება სწორი მიმართულებით, როცა მიუთითებთ და ეუბნებით: „შეხედე“. • არ ტიტინებს ბევრი სხადასხვა ბგერის გამოყენებით. ისეთ ხმებს უნდა გამოსცემდეს, თითქოს საუბრობს. • არ ინტერესდება ბევრი თამაშით, როგორიცაა „ბაღის ირგვლივ“ • არასდროს კონცენტრირდება არაფერზე რამდენიმე წუთზე მეტხანს. • არ ინტერესდება მარტივი სათამაშოებით. • აქვს კვებითი პრობლემები.	• სმენის შეფასება • დაკავშირება ადრეული განვითარების სპეციალისტთან

ძირითადი უნარ-ჩვევები: 18 თვის ასაკში

ძირითადი უნარ-ჩვევები	შეშფოთების მიზეზი	როგორ უნდა მოვიქცეთ
• კონცენტრირებას ახდენს თავის მიერ არჩეულ ამოცანაზე მოკლე პერიოდის განმავლობაში. • წარმატებით შეუძლია კომუნიკაცია, როგორც სიტყვებითა და/ან ჟესტებით, ასევე მოქმედებებით. • შეუძლია მარტივი მითითებების გაგება, რაც მოიცავს არსებით სახელებსა და ზმნებს, მაგალითად, „დასვი თოჯინა“. • გიჩვენებთ სხეულის ზოგიერთ ნაწილს. • იყენებს სიტუაციის ან რეჟიმის ცოდნას, რათა გაიგოს, თუ რას ეუბნებიან. • გააზრებულად თამაშობს ბევრი სათამაშოთი, ანუ იცის, როგორ ითამაშოს ამ სათამაშოებით. • თამაშობს მარტივ წარმოსახვით თამაშებს დიდი ზომის სათამაშოებით, მაგ. დათუნიას ვარცხნის თმებს. • ცნობს მინიატურულ სათამაშოებს, შეუძლია გაარჩიოს ერთმანეთისაგან საწოლი, სკამი და ა. შ. • მოსწონს წიგნების თვალიერება. • შეუძლია ნაცნობი საგნების ამოცნობა სურათებზე, რომლებიც მანამდე არ უნახავს. • შეიძლება თქვას 6-10 სიტყვა. ამ სიტყვების გაგება შეუძლიათ მხოლოდ მშობლებს. • კომუნიკაცია ნელ-ნელა ვითარდება არავერბალურიდან ვერბალურამდე.	• არ ინტერესდება სათამაშო მასალებით. • ხშირად არ იყურება გარშემო, რომ დაინახოს, საიდან ისმის ხმა. • ვერ იგებს მარტივ, ყოველდღიურ ლექსიკას. • არ ითხოვს თქვენგან დიდ ყურადღებას, ანუ სოციალური ინტერესი არ აქვს. • არ იჩენს საპასუხო ინტერესს ვინმეს მიმართ. • კომუნიკაციისადმი სუსტ ინტერესს იჩენს. • აქვს კვებითი პრობლემები.	• სმენის შეფასება • დაკავშირება ადრეული განვითარების სპეციალისტთან • დაკავშირება კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტთან (ლოგოპედთან).

ძირითადი უნარ-ჩვევები: 24 თვის ასაკში

ძირითადი უნარ-ჩვევები	შეშფოთების მიზეზი	როგორ უნდა მოვიქცეთ
• შეუძლია მცირე დროის განმავლობაში კონცენტრირდეს სათამაშოზე და არ გადახტება ერთი აქტივობიდან მეორეზე. • ადვილად შედის კომუნიკაციაში და ქცევით კომუნიკაციაზე მეტად სიტყვიერს იყენებს. • იზრდება ახალი სიტყვების რაოდენობა, რომლებიც მშობლებს ესმით • რეაგირებენ მარტივი მიმართულების მითითებებზე, მაგ., „დადე სკამზე." • ინტერესდება მცირე ზომის სათამაშოებით, მაგ., ფერმის კომპლექტითა და პატარა თოჯინებით. • აწყობს მარტივ წარმოსახვით აქტივობებს სათამაშოების გამოყენებით, მაგ., წვეულება ჩაიზე. • აფართოებს ერთსიტყვიან ლექსიკას. • ამ ეტაპზე ხშირად იყენებს ორი სიტყვის შეხამებას, მაგ., „მამა წავიდა." • მეტყველება მკაფიო და მთელი ოჯახისათვის გასაგები ხდება. • მოსწონს საბავშვო ლექსები და სიმღერები.	• ვერ იგებს ბევრი ყოველდღიურად გამოყენებადი საგნის სახელს. • იცის 25 სიტყვაზე ნაკლები (იხილეთ დანართი 1 „საუბრის გვიან დაწყება – რისკ-ფაქტორები"). • არასდროს ხმარობს ორი სიტყვის შეხამებას • არასდროს ინარჩუნებს ყურადღებას თავის მიერ არჩეულ აქტივობაზე. • არ სურს დაეხმაროთ აქტივობებში • არ თამაშობს წარმოსახვით თამაშებს. • არ აქვს სოციალური ინტერესი.	• სმენის შეფასება • დაკავშირება ადრეული განვითარების სპეციალისტთან • დაკავშირება კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტთან (ლოგოპედთან).

ძირითადი უნარ-ჩვევები: 30 თვის ასაკში

ძირითადი უნარ-ჩვევები	შეშფოთების მიზეზი	როგორ უნდა მოვიქცეთ
• ძალიან კომუნიკაბელურია. • შეუძლია ორმხრივი კომუნიკაცია • შეუძლია საგნის არჩევა ფუნქციის მიხედვით, მაგ., „რომელ მათგანზე გძინავს?" • შეუძლია ზომის მარტივი აღმნიშვნელი სიტყვების გაგება, მაგ., დიდი და პატარა . • შეუძლია უფრო რთული დავალებების შესრულება, რომლებიც მოიცავენ მდებარეობის აღმნიშვნელ სიტყვებს „ში" და „ზე", მაგ. „სკამზე დადე დათუნიას ფეხსაცმელი." • თამაშობს სხვა ბავშვის გვერდით • თამაში მოიცავს წარმოსახვითი თამაშების მცირე მიმდევრობას, მაგ. კონსტრუქტორებით, თოჯინებით თამაშს და ასე შემდეგ. • ზოგიერთი სიტყვა, რასაც ის ამბობს, ესმით სხვა ადამიანებსაც. • ბევრი რამ, რასაც ის ამბობს, ესმით მშობლებს/სხვა ნაცნობებს • იყენებს 200 ან მეტ სიტყვას	• არ იზრდება მისი ლექსიკური მარაგი. • უმეტესად იყენებს ერთ სიტყვას და არა ორი სიტყვის შეხამებას. • მშობლებს არ ესმით, რას ამბობს. • მას არ უნდა თქვენთან თამაში. • არ თამაშობს წარმოსახვით თამაშებს • ჩანს, რომ ვერ იგებს რას ამბობთ, თუ ძალიან მარტივად არ ეტყვით. • ყურადღების ერთ რამეზე კონცენტრირება ძალიან ცოტა ხანს შეუძლია. • ბორძიკით ლაპარაკობს, იმეორებს ბგერებს სიტყვის დასაწყისში ან ფერხდება რომელიმე სიტყვაზე (ძალდატანებით საუბარი/ენადაბმულობა) • ჩვეულებრივ, ჩახლეჩილი ხმა აქვს.	• სმენის შეფასება • დაკავშირება ადრეული განვითარების სპეციალისტთან • დაკავშირება კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტთან (ლოგოპედთან).

ძირითადი უნარ-ჩვევები 36 თვის ასაკში

ძირითადი უნარ-ჩვევები	შეშფოთების მიზეზი	როგორ მოვიქცეთ
• სურს ინფორმაციის მიღება და გაცემა. • ინტერესდება თანატოლებით/მეგობრებით და იწყებს მათთან თამაშს. • იყენებს ენას გამოცდილების სხვებისთვის გაზიარების მიზნით და არა მითითებებისთვის, ე. ი. მას საუბარი სურს. • შეუძლია მდებარეობის აღმნიშვნელი უფრო მეტი სიტყვის გაგება, მაგ., ქვეშ. • იგებს მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს (ზმნებს) და ზოგიერთ ნიშან-თვისების აღმნიშვნელ სიტყვას (ზედსართავ სახელებს), მაგ., დიდი, მოწყენილი. • იწყებს მითითებების შესრულებას, რომელიც მოიცავს სამ კატეგორიას, მაგ., ზომას, ქმედებას, მდებარეობას - „დიდი ბურთი მაგიდის ქვეშ შეაგდე“. • შეუძლია ფერების გარჩევა. • თამაშობს წარმოსახვით თამაშებს წარმოსახვითი საგნებით და ასრულებს როლებს • უნდა გამოიყენოს სალაპარაკო ენა სხვადასხვა ფუნქციისათვის, მაგ., ინფორმაციის მოსაძიებლად, კითხვებზე პასუხის გასაცემად, საგნებისა და ქმედებების აღწერისათვის, გამოცდილების, პროტესტის დასაკავშირებლად. • უმეტესად წინადადებებით საუბრობს და სვამს კითხვებს, მაგ., რა, სად, ვინ? • მისი მეტყველება ესმით არა მხოლოდ ოჯახის ახლობლებს. • იმეორებს რამდენიმე საბავშვო ლექსს/სიმღერას და ხანდახან მღერის.	• ხშირად არ ესმის რას ამბობთ. • იყენებს ორი სიტყვის კომბინაციას. • ძალიან ღარიბი ლექსიკა აქვს • არასდროს სვამს შეკითხვებს. • არ აინტერესებს ამბები. • არ აინტერესებს სხვა ბავშვებთან თამაში. • მის მეტყველებას უმეტესად ვერ იგებენ. • ყურადღების კონცენტრირება ძალიან მცირე ხანს შეუძლია. • ის ბორძიკობს, იმეორებს სიტყვებს ან სიტყვის საწყის ბგერებს, სიტყვებზე იჭედება (ვერ საუბრობს თავისუფლად/ენა ებმის). • ჩვეულებრივ, ჩახლეჩილი ხმა აქვს.	• სმენის შეფასება • დაკავშირება • განვითარების ფსიქოლოგთან • დაკავშირება კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტთან (ლოგოპედთან). • ინდივიდუალური გეგმით მუშაობა ბაღში.

ძირითადი უნარ-ჩვევები 42 თვის ასაკში (3 წლინახევრის ბავშვი)

ძირითადი უნარ-ჩვევები	შეშფოთების მიზეზი	როგორ უნდა მოვიქცეთ
• შეუძლია საკუთარი ყურადღების კონტროლი და ყურადღებას იკრებს თამაშისა და მოსმენისათვის. • მეგობრებს იძენს თანატოლთა ჯგუფიდან. • შეუძლია ისეთი კითხვების გაგება, რომელიც აწმყოსთან არ არის დაკავშირებული, მაგ., „საბავშვო ბაღში რა ჭამე?“ • შეუძლია ინსტრუქციებზე რეაგირება, რომელიც მოიცავს დამკვიდრებულ კატეგორიებს როგორიცაა ზომა, ფერი და მდებარეობა, მაგ., „მომეცი დიდი დათვი.“ • იგებს მოვლენების თანმიმდევრობას, მაგ., თხრობის დროს, რა მოხდება შემდეგ. • შეუძლია რამდენიმე ფერის დასახელება. • მისი თამაში საკმაოდ დახვეწილია და ახლავს სიტყვიერი კომენტარები • გრამატიკა უფრო სრულყოფილი ხდება, მაგ., იყენებს მრავლობით რიცხვსა და ზმნის დროებს, მაგრამ გრამატიკული მოუმწიფებლობა ისევ აშკარაა. • მის მეტყველებას იგებენ უცხოებიც, მაგრამ ბევრი ჩამოუყალიბებელი ბგერა ისევ რჩება.	• რაიმეზე კონცენტრირება შეუძლია მხოლოდ რამდენიმე წუთის განმავლობაში. • არ ესმის რას ეკითხებით. • იყენებს ძალიან მოკლე ან არეულ წინადადებებს და წინადადებებს ერთმანეთთან არ აკავშირებს. • არ იჩენს სხვა ბავშვებთან თამაშის ინტერესს. • მისი მეტყველება გაუგებარია უცნობი ადამიანებისათვის (იხილეთ ბგერების ცხრილი 22-ე გვერდზე) • ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ მისი საუბარი უჩვეულოა და ინტერესის ცენტრში საკუთარი თავი ჰყავს. • ის ბორძიკობს, იმეორებს სიტყვებს, სიტყვის საწყის ბგერებს ან სიტყვებზე იჭედება (ვერ საუბრობს თავისუფლად/ენა ებმის). • ჩვეულებრივ, მას ჩახლეჩილი ხმა აქვს.	• სმენის შეფასება • დაკავშირება • განვითარების ფსიქოლოგთან • დაკავშირება კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტთან (ლოგოპედთან). • ინდივიდუალური გეგმით მუშაობა ბაღში

ძირითადი უნარ-ჩვევები: 4 წლის ასაკში

ძირითადი უნარ-ჩვევები	დაფიქრების მიზეზი	როგორ მოვიქცეთ
• მისი მეტყველება კრეატიულია და კომუნიკაციის ეფექტური საშუალება ხდება. • შეუძლია მითითებების სამი საფეხურის განხორცილება, მაგ, „დახურე კარი, შემდეგ აიღე ბურთი და დადე მაგიდაზე.“ • იგებს ფერის, მდებარეობისა და ზომის აღმნიშვნელ უფრო მეტ სიტყვას. • უფრო მეტად მოსწონს წარმოსახვითი თამაშები. მაგ., მორთვა, როლის თამაში. • მოსწონს მეგობრებთან თამაში, ნივთებს უზიარებს და რიგში ენაცვლება • შეუძლია გრძელი ამბების მოყოლა, საკმაოდ კარგად აკავშირებს ამბებს ერთმანეთთან და აღწერს სურათებს. • შესამჩნევია ზოგიერთი გრამატიკული მოუმწიფებლობა. • ზოგიერთი ბგერის ჩამოუყალიბებლობა ისევ სახეზეა, მაგრამ მეტყველება უმეტესწილად გასაგებია.	• ის ვერ იგებს, რას ეკითხებით. • მას რაიმეზე კონცენტრირება შეუძლია მხოლოდ რამდენიმე წუთის განმავლობაში. • იყენებს ძალიან ღარიბ გრამატიკას. • მეტყველება ძალიან გაურკვეველია. • მას არ შეუძლია იმ მოვლენების აღწერა, რასაც თქვენ არ ესწრებოდით. • მას არ აინტერესებს სხვა ბავშვებთან თამაში. • ის ბორძიკობს, იმეორებს სიტყვებს ან სიტყვის დასაწყისს ან სიტყვებზე იჭედება (ვერ საუბრობს თავისუფლად/ენა ებმის). • ჩვეულებრივ მას ჩახლეჩილი ხმა აქვს.	• სმენის შეფასება • დაკავშირება • განვითარების ფსიქოლოგთან • დაკავშირება კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტთან (ლოგოპედთან). • ინდივიდუალური გეგმით მუშაობა ბაღში

ძირითადი უნარ-ჩვევები: 4 დან 5 წლამდე

ძირითადი უნარ-ჩვევები	შეშფოთების მიზეზი	როგორ მოვიქცეთ
• ამ დროისთვის მას უფრო მეტი გამოცდილება აქვს. მისი მეტყველებისა და ენის განვითარება გაგრძელდება და იყენებს ენობრივ უნარ-ჩვევებს. მას სჭირდება უფრო მეტის მოსმენა და გაგება და ჯგუფში თავისი აზრების სხვებისთვის გაზიარება. ის ასევე იყენებს ენობრივ უნარ-ჩვევებს წერა-კითხვის სწავლისას. • ბავშვებს სხვადასხვა ხარისხით უვითარდებათ ენობრივი უნარები, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვეულებრივ, მას • შეუძლია გაიგოს ქმედებასთან დაკავშირებული სიტყვიერი მითითებები იმ ქმედების შეწყვეტის გარეშე, რასაც მოსაუბრესთან აკეთებს. • ირჩევს საკუთარ მეგობრებსა და თამაშის პარტნიორებს. • უფრო ხანგრძლივი საუბრის დროს, მოსაუბრესთან რიგ-რიგობით საუბრობს. • იგებს უფრო რთულ ენას, მაგ., „პირველი“, „ბოლო“, „შეიძლება“, „შესაძლოა“, „ზევით“, „შუაში“. • იყენებს კარგად ჩამოყალიბებულ წინადადებებს, თუმცა შესაძლოა გრამატიკაში კიდევ ჰქონდეს რამე პრობლემები (მაგ., არასწორად თქვას მრავლობითი რიცხვი და ზმნის წარსული დრო). • უფრო მეტს ფიქრობს სიტყვების მნიშვნელობებზე - შეიძლება აღწეროს მარტივი სიტყვების მნიშვნელობა ან იკითხოს, რას ნიშნავს ახალი სიტყვა, როცა პირველად ესმის. • იყენებს ბგერებს ეფექტურად. - მრავალმარცვლიანი ან მრავალთანხმოვნიანი სიტყვის წარმოთქმისას, შეიძლება პრობლემები ჰქონდეს.	• მეტყველების განვითარება არასრულყოფილია • წინადადების სტრუქტურა არასრულყოფილი ან არაგრამატიკულია. • ლექსიკა ღარიბია და კლასში პროგრესს არ განიცდის. • მას სათანადო კომუნიკაციის დამყარება არ შეუძლია მასწავლებლებთან/თანატოლებთან, მაგ., შესაბამის ინფორმაციასთან დაკავშირებით საუბარი, რიგ-რიგობით ლაპარაკი, საუბარში ერთი თემის შენარჩუნება, ურთიერთობის დაწყება. • ის ერთვება მხოლოდ თავის მიერ არჩეულ აქტივობაში და/ან საუბრის თემაში. • მას არ შეუძლია ყურადღების დათმობა კლასის აქტივობებისათვის. • ის ბორძიკობს, იმეორებს სიტყვებს ან სიტყვის დასაწყისს ან სიტყვებზე იჭედება (ვერ საუბრობს თავისუფლად/ენა ებმის). • ჩვეულებრივ მას ჩახლეჩილი ხმა აქვს.	• სმენის შეფასება • დაკავშირება • განვითარების ფსიქოლოგთან • დაკავშირება კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტთან (ლოგოპედთან). • ინდივიდუალური გეგმით მუშაობა ბაღში

ძირითადი უნარ-ჩვევები 5 წლის შემდეგ

ძირითადი უნარ-ჩვევები	შეშფოთების მიზეზი	როგორ უნდა მოვიქ-ცეთ
• ეს ნებისმიერი ბავშვისათვის განვითარების დიდ პერიოდს მოიცავს. ხუთი ან ექვსი წლის ასაკისათვის მას უნდა ჰქონდეს კარგად განვითარებული მეტყველება მდიდარი ლექსიკით, კარგად ჩამოყალიბებული წინადადებებითა და კარგად უნდა იყენებდეს სამეტყველო ბგერებს. მას, ჩვეულებრივ, განვითარებული აქვს ყურადღების უნარი, ასე რომ, მას შეუძლია მითითებების გაგება და ამავე დროს სხვა აქტივობის შესრულება. მას ასევე უნდა შეეძლოს უფრო მეტი ინფორმაციის გაგება. როცა გაიზრდება, უკეთესად გაერკვევა, როგორ გაიგოს ენა სხვადასხვა სიტუაციაში - მაგალითად, განიხილოს მოსაზრებები და აზრი გამოთქვას. მეტყველება და ენა თანდათან ვითარდება და ეყრდნობა უკვე ნასწავლ უნარ-ჩვევებს. • კონცენტრირებას ახდენს ერთ ქმედებაზე უფრო და უფრო დიდი ხნის განმავლობაში, შეხსენების გარეშე. • აგრძელებს ახალი სიტყვების სწავლას - მისი ლექსიკა მეტისმეტად იზრდება, განსაკუთრებით სკოლაში ნასწავლი სიტყვებით, ზრდასთან ერთად ნაკლებად ეყრდნობა სურათებს და საგნებს და შეუძლია, უბრალოდ, მოსმენითა და კითხვით ისწავლოს ახალი სიტყვები, თუმცა ვიზუალური მასალა ეხმარება მოზრდილ ბავშვებს და უფროსებსაც კი ახალი სიტყვების ათვისებაში). • იყენებს ენობრივ უნარებს წერა-კითხვისა და მართლწერის სწავლაში. • სწავლობს, რომ ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება აღნიშნავდეს ორ საგანს მაგ. ბარი – იარაღი და ბარი – გეოგრაფიული ტერმინი • იგებს აბსტრაქტულ ცნებებსა და აზრებს - როგორიცაა გრძნობები და აღწერითი სიტყვები, მაგ., „ფრთხილად“, „ნელა“ და „ჭკვიანი“. • იყენებს ენას სხვადასხვა მიზნებით, სხვების დარწმუნების, მოლაპარაკებისა და კითხვების დასმისათვის. • სხვებს უზიარებს და განიხილავს უფრო რთულ დ აბსტრაქტულ იდეებს, როგორიცაა, სხვებთან ურთიერთობა. • იყენებს ენას წინასწარმეტყველებისა და დასკვნების გასაკეთებლად. • იყენებს ენას ეფექტურად სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში. • იგებს უფრო რთულ იუმორს და ხატოვან ენას (როგორიცაა სარკაზმი)	• იხილეთ 4-დან 5 წლამდე ბავშვები მე-17 გვერდზე. • გაიაზრეთ, როგორ ერგება ბავშვის მეტყველებისა და ენის უნარ-ჩვევები ზოგად სწავლის პროცესსა და შესაძლებლობებს.	• დაუკავშირდით მასწავლებლებს/სპეციალური საგანმანათლებლო საჭროების კოორდინატორს • მიმართეთ განათლების ფსიქოლოგს • დაუსახეთ ბავშვს ინდივიდუალური სწავლის მიზნები/ • სმენის შეფასება • ყურის, ცხვირისა და ყელის შემოწმება • მეტყველებისა და ენის თერაპიის მომსახურებისათვის მიმართვა.

9. დანართები

1. თამაში და კომუნიკაცია

თამაშის საშუალებით ბავშვს უმუშავდება უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია ენის განვითარებისათვის, მაგ., მოსმენა, დაკვირვება, მიბაძვა, სიმბოლური გაგება, ცნების ფორმირება და სოციალური უნარ-ჩვევები, როგორიცაა მონაცვლეობა და თანამშრომლობა.

თამაში ახალი უნარ-ჩვევების ექსპერიმენტირების, განვითარებისა და უკვე ნასწავლის პრაქტიკაში გახორციელების შესაძლებლობას გვაძლევს.

თუ ბავშვის თამაში ფერხდება, ხშირად, განვითარების რაღაც ასპექტში, ან გარემოში არსებული პრობლემების მაჩვენებელია.

ქვემოთ ჩამოთვლილია გარკვეული ტიპის თამაშები, რომელიც მოცემული ასაკისთვისაა დამახასიათებელი.

9 თვის ასაკის ბავშვი	უყურებს ძირს დავარდნილ სათამაშოს. მოსწონს „ჭიტას“ თამაში და ლექსები.
12-15 თვის ასაკის ბავშვი	ფუნქციის მიხედვით თამაშობს საგნით, მაგ. ივარცხნის თმას. შეუძლია უფროსს სათამაშო მისცეს, თუ ის მოსთხოვს. მოსწონს მოძრაობის თანხლებით შესრულებული სიმღერები.
18 თვის ასაკის ბავშვი	მოსწონს მარტივი წარმოსახვითი თამაშები დიდი სათამაშოებით, მაგ., დათუნიას თმის დავარცხნა. წარმოსახვით აკეთებს ყოფით აქტივობებს, მაგ., მტვრის წმენდას/დასუფთავებას. ინტერესდება წიგნების დათვალიერებით.
24 თვის ასაკის ბავშვი	ინტერესდება მცირე ზომის სათამაშოებით . ასრულებს მარტივ წარმოსახვით აქტივობებს სათამაშოებით. თამაშობს სათამაშოებით უფრო დიდი ხნის განმავლობაში, მაგ., ხუთი წუთის განმავლობაში. თამაშობს სხვა ბავშვებთან ერთად.
36 თვის ასაკის ბავშვი	იცავს თანმიმდევრობას წარმოსახვით თამაშებში. შეუძლია მარტივი როლის შესრულება, მაგ., მაღაზიის გამყიდველის როლი. თამაშში რთავს მინიატურულ ფიგურებს, მაგ., კონსტრუქტორის ნაწილებს. თამაშობს სხვა ბავშვებთან ერთად. მოსწონს ამბების მოსმენა.
42 თვის ასაკის ბავშვი	მოსწონს მორთვა-გამოწყობა და წარმოსახვითი თამაშის მოფიქრება. მოსწონს მეგობრებთან თამაში. იცის სათამაშოს გაზიარება და მონაცვლეობა. შეუძლია წესების დაცვით თამაში.

თამაშის ეტაპები

საძიებო თამაშები

პირველი თვეები - პირის ჩავლება, სათამაშოების ჩაბღუჯვა და გამოძრავება.

კონსტრუქციული თამაშები

ცხრა თვიდან ბავშვი იყენებს ორივე ხელს, ერთმანეთს ახეთქებს ორ საგანს.

წარმოსახვითი თამაშები

დაახლოებით 12 თვის ასაკიდან დამოუკიდებლად სვამს ფინჯნიდან.
16 თვის ასაკში ფინჯნით ასმევს თოჯინას.
18 თვის ასაკში ფინჯნით ასმევს თოჯინას/საკუთარ თავს/უფროსს.
სოციალური თამაში

სოციალური თამაში შემდეგი თანმიმდევრობით ვითარდება:

- მარტო თამაში – შეიძლება უსიტყვო იყოს;
- პარალელური თამაში – ვინმესთან გაზიარების გარეშე;
- თამაშის თვალყურის დევნება – ორწლინახევრის ბავშვი;
- მარტივი თანამშრომლობითი თამაში – სამწლინახევრიდან ოთხ წლამდე ბავშვი;
- თამაში წესების დაცვით – 4 წლის ზემოთ.

2 ფონოლოგია

სამეტყველო ბგერების განვითარება იწყება ტიტინით და გრძელდება დაახლოებით შვიდ ან რვა წლამდე. ყველაზე სწრაფი ცვლილებების პერიოდია ორიდან ოთხ წლამდე. განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვის ენასთან, მამოძრავებელ უნარებთან, სმენით და შემეცნებით განვითარებასთან.

ბავშვებს ბგერების სისტემის განვითარებისათვის დრო სჭირდებათ. **ეს შეიძლება ავუხსნათ მშობლებს და ვურჩიოთ, რომ პირდაპირ არ შეუსწორონ ბავშვს მეტყველება ან ავარჯიშონ ისინი. ამ შემთხვევაში, ისინი ბავშვის კომუნიკაციის მცდელობას შეამცირებენ და გაზრდიან მათ მღელვარებას. ბავშვმა შეიძლება ლაპარაკს თავი აარიდოს თავდაჯერებულობის უქონლობის გამო.**

მეტყველებისა და ენის თერაპევტთან განიხილეთ ბავშვის პრობლემები თუ:

- ბავშვის სამეტყველო ბგერები მკაფიოა, მაგრამ ხმა არის ხრინწიანი ან ცხვირისმიერი;
- ბავშვი ლაპარაკის დროს ცხვირიდან უშვებს ჰაერს;
- ბავშვის სამეტყველო ბგერების განვითარება შესამჩნევად შეფერხებულია ან ანომალიურია.

3 ჩლიფინით ლაპარაკი

ჩლიფინი სისინა „ს“ ბგერაა, რომლის წარმოთქმის დროსაც შესაძლებელია კბილებს შორის გაჩრილი ენის დანახვა.

ბავშვის მეტყველების პრობლემად ჩლიფინი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ოთხწლინახევრის ასაკის შემდეგ.

კლინიკური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჩლიფინის შეცვლა ხშირად შეუძლებელია, სანამ ბავშვს ადგილზე აქვს მეორე ზედა და ქვედა წინა კბილები. ეს უნდა აუხსნან მშობლებს მიმართვის დროს. ჩლიფინი ხელს არ უშლის ბავშვის პროგრესს განათლებაში. მნიშვნელოვანია, რომ ამ პრობლემას ნეგატიურად არ შევხედოთ.

4. საწოვარები: უპირატესობები და ნაკლოვანებები

პოპულარობისა და ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად, საწოვარების გამოყენება საკამათო საკითხია პროფესიონალებს და მშობლებს/მომვლელებს შორის.

უპირატესობები

მშობლებისა და მომვლელებისათვის საწოვარას ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობაა მისი როლი ბავშვის დამშვიდებაში ან დაძინებაში. ზოგი კვლევა გვიჩვენებს, რომ საწოვარები ეხმარება ძალიან პატარა ბავშვებს კარგი წოვის უნარის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით ნაადრევად დაბადებულ ბავშვებს.

ნაკლოვანებები

არსებობს რამდენიმე ნაკლოვანება, რომელიც დაკავშირებულია საწოვარების გამოყენებასთან, ზოგიერთი მათგანი გავლენას ახდენს ბავშვის მეტყველებისა და ენის განვითარებაზე. არსებობს აზრი, რომ საწოვარამ შეიძლება ძუძუთი კვების ნაადრევად შეწყვეტას შეუწყოს ხელი. იმ ნაკლოვანებებს შორის, რასაც სხვადასხვა პროფესიონალთა ჯგუფი ასახელებს საწოვარასთან დაკავშირებით, არის:

- მუცლის და პირის ინფექციების განვითარება.
- შუა ყურის ინფექციების (ოტიტის მედია) განვითარება. ეს ხდება იმის გამო, რომ წოვა ხსნის ევსტაქიის მილს, რაც ცხვირსა და შუა ყურს აკავშირებს ერთმანეთთან და საშუალებას აძლევს ბაქტერიას, ცხვირიდან შუა ყურში გადავიდეს.
- დენტალური პრობლემების წარმოშობა, როგორიცაა ღია თანკბილვა და ჯვარედინი თანკბილვა.
- პირის წინა კუნთების ზედმეტად განვითარება უკანა კუნთებთან შედარებით, რასაც შედეგად მოსდევს ენის გამოჩრა კბილებს შორის და გავლენას ახდენს კბილების განლაგებაზე.
- ტიტინის და ბგერებით ექსპერიმენტირების შემცირება. როცა ახალშობილს ან მცირეწლოვან ბავშვს საწოვარა აქვს პირში, ის ნაკლებად იმეორებს უფროსების მიერ წარმოთქმულ ბგერებს ან არ ცდილობს თვითონვე წარმოთქვას ბგერები. ეს მნიშვნელოვანია მეტყველების უნარების განვითარებისათვის.

რჩევები მშობლებსა და მომვლელებს

საწოვარას გამოყენების შესახებ უამრავი დამაბნეველი რჩევა არსებობს და მნიშვნელოვანია არგუმენტების ცოდნა. საწოვარა შეიძლება სასარგებლო იყოს პატარა ბავშვების დასაწყნარებლად და აძლიერებს წოვის უნარებს, მაგრამ მისი კონკრეტული სარგებლიანობა ექვსი თვის ასაკის შემდეგ მცირდება. ყურის ინფექციების რისკის ზრდა, დენტალური პრობლემები, ტიტინისა და ბგერების გამოთქმის შემცირება (რაც მნიშვნელოვანია მეტყველებისა და ენის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის) ძალიან კარგი მიზეზია იმისთვის, რომ ბავშვს საწოვარა **ერთი წლის ასაკის შემდეგ** აღარ მივცეთ, განსაკუთრებით დღის განმავლობაში, როცა მას ურთიერთობა აქვს სხვა ბავშვებთან და უფროსებთან.

5. მეტყველებისა და ენის თერაპევტისადმი მიმართვის კრიტერიუმები

1. 18 თვიდან 18 წლამდე ასაკში.
2. ბავშვის კომუნიკაციის პრობლემები გავლენას უნდა ახდენდეს მის სოციალურ, ემოციურ ან განათლების განვითარებაზე.

- რეცეპტული (გაგების, აღქმის) ენობრივი პრობლემებით;
- ექსპრესიული (გამომსახველობითი) ენობრივი პრობლემებით;
- მეტყველების განვითარების შეფერხება/დარღვევა;
- ენის ბორძიკი;
- ხმის პრობლემები.

გახსოვდეთ: ჩვეულებრივ ბავშვში ენის განვითარება გრძელდება დაწყებით კლასებში – ის არ მთავრდება პირველ კლასში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ლოიდ ჰულიტი, მერლ ჰოვარდი, კეთლინ ფეჰი; დაბადებულია, რომ ილაპარაკოს, შესავალი ენისა და მეტყველების განვითარების თეორიაში. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. 2012

Kenneth G. Shipley, Julie G. McAfee; *Assessment in Speech-Language Pathology – A Resource Mannua*l 5th edition, 2015

Fern Sussman; More than Words, Hanen Center Publication, 2012

Jan Pepper, Elaine Weitzman; It Takes Two to Talk, Hanen Center Publication, 2004

Elaine Weitzman, Janice Greenberg; ABC and Beyond, Hanen Center Publication, 2004

Peter Westwood; Commomsense Methods for Children with Sspecial Educational Needs, Paperback 2002